საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო გაზეთი

№ 231 ოთხშაბათი, 15 მაისი 1918 წ. № 231

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ოზურგეთის კომენდანტი ატყობინებს ქუთაისის გუბერნიის კომისარს, რომ მამაკაცებს ოზურგეთში შესვლა აკრძალული აქვთ. სომხეთის ეროვნულმა საბჭომ აღუკრძალა სომეხ ლტოლვილებს ჩრდილო კავკასიაში წასვლა. გენერალ ლებედინსკი სამსახურიდან გადადგა. გერმანელები მოითხოვენ სახალხო კომ. საბჭოსაგან შავი ზღვის ფლოტი სევასტოპოლში დააბრუნეთო.

**განცხადების ფასი:** ნონპარელის სტრიქონი პირველ გვერდზე ტექსტის ღირს 50 კაპ., [illegible] კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ქ. თავადაზნაურთა საადგილმამულო „ბანკის") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და ცალკე განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე [illegible] დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები უკან არ იგზავნება: იგზავნება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაბლის ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

მისამართი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

ღრმად დამწუხრებული პელაგია გრიგოლის ასული ხუციშვილისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელი მეუღლის მღვდლის

## ნიკოლოზ (ნიკო) იოკიმის ძის ხუციშვილისას

გამოსვენება ს. ჩოჩეთში (სადგური გრაკალი) 16 მაისს. დილის 10 საათზე. 490

---

გულმოკლული მშობლები ალეტო გრიგოლის ასული და იოვ სიმონის ძე შავგულიძეები, დები—სიდონია ვეკუასი, ოლღა აბზიანიძისა, ნინა და მარიამ შავგულიძეები, რძლები—სოფიო მიხეილის ასული, ანიკო პავლეს ასული და სოფიო ვასილის ასული შავგულიძეები, ძმები—ნესტორ, ვლადიმერ, იოსებ, გერასიმე, დავით, შალვა და გიორგი შავგულიძეები, სიძენი—ვლადიმერ მოსეს ძე ვეკუა, ზოსიმე ექვთიმეს ძე აბზიანიძე და ვასილ პეტრეს ძე ნებიერიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ანარიის სიმაგრეზე ბათომში გმირულად დაღუპულ კაპიტან

## სიმონ შავგულიძის

ცხედრის დაკრძალვა დანიშნულია ხუთშაბათს 16 მაისს დილის 9 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე 6 საათზე. ქ. ქუთაისში ორპირის ქუჩაზე საკუთარ სახლში № 19. 488

---

## ჟურნალ პრომეთეს აგენტების საყურადღებოდ

ჟურნალ პრომეთეს აგენტების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ უკეთუ ჟურნალის პროვინციელი აგენტები 2 კვირის განმავლობაში არ გამოგზავნიან დარჩენილ საკვიტანციო ბარათებს, ხელის მომწერლების სიას და ანგარიშს, ჟურნალის რედაქცია იძულებული იქნება გაზეთის საშუალებით გამოაქვეყნოს იმ პირების სახელი და გვარი, ვინც ქართულ გამომცემლობის საქმეს ნებსით თუ უნებლიეთ ეგზომ ვნებას აყენებენ.

პატივისცემით პრომეთეს რედაქცია. ჟურნალის მისამართი: ტფილისი ფოსტის ყუთი 190 ჟურნალ პრომეთეს რედაქციას.

1918 წლის მაისის 14.

---

## ტფილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა დრ. საბჭო

ამით აცხადებს ქართველ ვაჭართა და მრეწველთა საყურადღებოდ, რომ დღიდან ამის გამოცხადებისა მათ, თანახმად ქართველ ვაჭართა და მრეწველთა 12 მაისის საზოგადო კრების დადგენილებისა, ეძლევათ ერთი კვირის ვადა იმ ფულის შემოსატანად, რომელიც მათზეა გაწერილი საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ.

ვინც ამ ვადის განმავლობაში არ შემოიტანს ფულს მათი სახელი და გვარი გაზეთებში იქნება გამოცხადებული, ხოლო ვიზედაც არც ეს ზომა იქონიებს გავლენას, მათ წინააღმდეგ იქნება მიღებული სასტიკი იძულებითი ზომები. 1155

---

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ბინაში შენობ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—06.

დღეს, 15 გაიმართება

დიდი წარმოდგენა

სახელად „ათას ერთი ღამე". მოვალი სასაცილო და სამხიარულო სანახაობა. კონკურენცია კლოუნებისა, კონკურენცია ჯამბაზებისა, კონკურენცია კუპლეტისტებისა და სხვათა. ცხენების დივერტისმენტი. დასაწყისი 8½ საათზე.

ანონსი: მზადდება დიდი დღესასწაული არტისტებისა. 489

---

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

მოუწოდებს ყველას, ვინც სასტუმროებში სცხოვრობს, გადაიხადონ ფული სასტუმროებში მას შემდეგ, რაც შეადარებენ ანგარიშებში დაწერილ ფასებს იმ „პრეის-კურანტს", რომელიც ქალაქის გამგეობის მიერ არის დამტკიცებული.

1158

ტფილისის ქალაქის გამგეობა.

---

**ტფილისი. 15 მაისს 1918 წ.**

**ამიერკავკასიის კონსტიტუცია.** ამიერკავკასიის კონსტიტუცია ჯერ შემუშავდება, [illegible] ფართო შესაძლებლობა არ გაეხსნა ამიერკავკასიის ერებს თავიანთი ბედის დამოუკიდებლად მოწყობისა. კერძოდ საქართველო ძალიან დაინტერესებულია ამიერკავკასიის მთლიანობით, მაგრამ ისეთის მთლიანობით, რომელიც რეალური ინტერესების შეთანხმებაზე იქნება დამყარებული და არა ფიქციაზე. [illegible] შეუძლებელია კონსტიტუციაში [illegible] თვითეულის პოლიტიკური ინტერესებს ოდნავ მაინც ზღუდავს. საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომაზე კონსტიტუციის გამო მოხსენება წაიკითხა საბჭოს წევრმა ს. ჯაფარიძემ. მთელი მისი მოხსენება გაჟღენთილი იყო ისეთის ცენტრალიზმით, რომელსაც არაფერი,—სრულიად არაფერი,—საერთო არა აქვს არამც კონფედერაციასთან, არამედ ფედერალიზმთანაც კი. აღარ დარჩა არც ერთი დარგი პოლიტიკურ-ეკონომიური, რომელიც მომხსენებელს ცენტრალური პარლამენტის კომპეტენციის საგნად არ დაესახა. უნიტარული კანონ-მდებლობა და უნიტარული მართვა-გამგეობა ჰგულისხმობს არა მარტო საერთო საკანონმდებლო ენას, არამედ საერთო სახელმწიფოებრივ ენასაც. შეუძლებელია უნიტარულ-ცენტრალისტურ სახელმწიფოში ერთი სახელმწიფოებრივი ენა არ იყოს გამეფებული. ეს კი ამიერკავკასიის კონკრეტულ პირობებში ყოვლად შეუძლებელია. თუ დღეს, მხოლოდ ტრადიციის წყალობით, სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში რუსული ენაა გამეფებული, ხვალ და ზეგ სრულიად ბუნებრივად რუსული ენის ადგილს დაიჭერს სხვა რომელიმე ენა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ენები. რომელი უნდა იყოს ენა? რასაკვირველია, ვერც ერთი ამიერკავკასიური ენა ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივ ენად ვერ გადაიქცევა, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება, როგორც თვითეული ერის ინტერესს ცალ-ცალკე, ისე კულტურულ ძალთა განწყობილებას. უნიტარული და ცენტრალისტური ამიერკავკასია დაუსრულებელი ეროვნული შუღლის სარბიელად გადაიქცევა და ამიტომ მთელის ჩვენის ძალ-ღონით წინააღმდეგობას გაუწევთ დახავსებული ცენტრალისტების დრომოჭმულ ექსპერიმენტებს.

საქართველო აუცილებლად ერთს მთლიანს სახელმწიფოებრივს ერთეულს უნდა შეადგენდეს, საქართველოში სახელმწიფოებრივი ენა უნდა იყოს ქართული და მთელი სახელმწიფოებრივი მექანიზმი უნდა აშენდეს ეროვნულ პრინციპებზე. რკინის გზა, ფოსტა-ტელეგრაფი, სასამართლო, ადმინისტრაცია, სკოლა, კანონ-მდებლობა და მართვა-გამგეობა საქართველოში უკლებლივ და შეუზღუდველად ქართული უნდა იყოს. ადვილად შესაძლებელია ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინის გზის ტარიფი მთელი ამიერკავკასიისთვის ერთი და იგივე იყოს, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, თითქოს მართვა-გამგეობა ამ დაწესებულებებისაც საერთო უნდა იყოს. ასევე შეიძლება ითქვას სახელმწიფოებრივი ცხოვრების დანარჩენ დარგებზე.

სამწუხაროდ ჩვენში არიან ჯერ კიდევ ისეთები, რომლებიც ძველებური [illegible] წარმოდგენისაგან ვერ განთავისუფლებულან და ჰგონიათ, რომ მაქსიმუმ უფლებებით აღჭურვა თვითმმართველობისა მთლიანობის დამ[illegible] საშუალებაა. ეს ნამდვილი [illegible] ძალიან ძვირად დაუჯდება საქართველოს, თუ საძირკვლის მუშაობის დროს იგი გვერდზე [illegible] სახელმძღვანელო აზრად.

საქართველოს ეროვნულ საბჭოში მომხსენებლის აზრმა ვერა ჰპოვა ცხოველი გამოხმაურება. „ალიონელთა" სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია და სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია გარკვეულად ანტიცენტრალისტურად არიან განწყობილნი. მაგრამ მენშევიკთა შორისაც, როგორც სჩანს, მაინცა და მაინც დიდს თანაგრძნობას ვერა ჰპოულობს მომხსენებლის [illegible] უკიდურესი ცენტრალისტური აზრები. როგორც ვიცით, მენშევიკების ფრაქცია მთლიანი საქართველოს მომხრეა და მთლიანი საქართველო კი ისეთი ორგანიზმი იქნება, რომელიც ბუნებრივად ვერ შეეთვისება მომხსენებლის ცენტრალიზმს. საქართველოს გაერთიანებას, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, გაერთიანებულ საქართველოს თავისი სახელმწიფოებრივი ლოღიკა ექნება და ამ ლოღიკის წინაშე უსიტყვოდ და უპირობოდ წაიჩოქებს უკიდურესი ცენტრალიზმი.

* * *

## რუმინიის ბედი

მკითხველებს, უეჭველია, ჯერ კიდევ ახსოვთ ის საშინელი დავა, რომელიც მებრძოლ სახელმწიფოთა შორის გაიმართა რუმინიისა და საბერძნეთის გარშემო. მაშინ, როდესაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუმინიის გამოსვლას შეიძლებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა ომზე, თვით რუმინიაში, ალბად, დიდი შინაური ბრძოლა სწარმოებდა იმის გამოსარკვევად, თუ რომელ მებრძოლ მხარისთვის უნდა დაეჭირა მხარი რუმინიას. იმპერიალისტური მიზნები პატარა სახელმწიფოებსაცა აქვთ თავისებური იმპერიალისტური მიზანი, ალბად, ჰქონდა რუმინიასაც, რომელიც შეუდგა იმის გამორკვევას, თუ რომელი მხარისაკენ გადახრა უფრო სასარგებლო იქნებოდა დაპყრობითი ინტერესების მისაღწევად. ამისთანა პატარა სახელმწიფოსთვის, როგორიც რუმინიაა, რა თქმა უნდა, ყველაზე ხელსაყრელი ის იქნებოდა, რომ სრული ნეიტრალიტეტი დაეცვა და ამით გადაერჩინა ხალხი ფიზიკური განადგურებისაგან. მაგრამ სჩანს რუმინიის პოლიტიკოსებმა სხვანაირად განსაჯეს, თავისებურად შეაფასეს რეალური ძალთა განწყობილება და იფიქრეს, რომ ინგლისისა და რუსეთის კოალიციისკენ გადახრა საუკეთესო, უტყუარი საშუალებაა რუმინიის ტერიტორიის გაფართოებისა და ყველა იმისა, რასაც პოულობს ომში გამარჯვებული მხარე.

გერმანოფილები რუმინიაში დამარცხდნენ და რუმინია ინგლის-რუსეთის კოალიციას მიემხრო. მაგრამ სულ მოკლე ხანში აღმოჩნდა, რომ იგი ძალიან მოსტყუვდა. მოკავშირენი რუმინიისაგან მოითხოვდნენ და ელოდნენ დახმარებას, ნამდვილად კი თვით რუმინია გახდა დასახმარებელი. გერმანიის შემოტევამ ერთბაშად ფრთები დააყრევინა რუმინიას, რომელსაც რუსეთმა და მისმა დანარჩენმა მოკავშირეებმა ვერავითარი თვალსაჩინო დახმარება ვერ აღმოუჩინეს.

გერმანიამ სძლია რუმინიას, დაიპყრო იგი და ისარგებლა კიდევ ყველა იმ სიმდიდრით, რომელიც რუმინიაში არის. ისარგებლა განსაკუთრებით ნავთითა და პურით. მაგრამ გავიდა ხანი, ბოლშევიკურად დათავრებულმა რუ[illegible] ზავმა თავდაყირა დააყენა ყოველნაირი ანგარიშები რუმინიისა, რომელმაც ერთბაშად ფრონტი შეიცვალა და ომი გერმანიასთანა და მის მოკავშირეებთან ზავით გაათავა.

როგორც ჩვენს გაზეთში ამ დღეებში დაბეჭდილი დეპეშებიდან გაიგებდა მკითხველი, რუმინიის მეფე ალსადრეს, დაინიშნა ახალი არჩევნები პარლამენტისა, შეიკრა სათანადო ხელ-შეკრულობანი სახელმწიფოებთან, რუმინია მშვიდობიან მდგომარეობაზე გადავიდა და ნეიტრალიტეტს იცავსო. ამ რიგად, დიდი საომარი ქარტეხილის გავლის შემდეგ რუმინია თავის პირველ-ყოფილ პოლიტიკურ მდგომარეობას დაუბრუნდა, რა თქმა უნდა რუმინია ომის შემდეგ ძალიან დაზარალებული გამოვიდა, მაგრამ ეს ზარალიც სავსებით იმ პოლიტიკურ სიბეცეს უნდა მიეწეროს, რომელშიაც გაახვიეს თავიანთი ქვეყანა რუმინიის პოლიტიკოსებმა.

რუმინიის მაგალითი ნათლად გვიმტკიცებს, რომ პატარა სახელმწიფოსთვის ყოველთვის კატასტროფიულად თავდება ისეთი მიზნების დასახვა, რომლებიც არ შეესაბამება მის რეალურ ძალას და საერთაშორისო მდგომარეობას. იმ ტიტანიურ ბრძოლაში, რომელსაც ევროპის სახელმწიფოები აწარმოებენ, რუმინიისთანა პატარა სახელმწიფოსა და ერს მხოლოდ იმაზე უნდა ეზრუნა, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დაზარალებული გამოსულიყო მსოფლიო კატასტროფიდან. ეს ანბანური ჭეშმარიტება რუმინიამ თავის დროზე ვერ შეითვისა და სწორედ ამიტომაც იძულებული გახდა ისევ ძველებურ მდგომარეობას დაჰბრუნებოდა, მხოლოდ ძალიან დაზარალებული და გაძარცული...

არ. ჯაჯანაშვილი.

## ამიერ-კავკასიის მთავრობაში.

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს ტფილისის განყოფილების გამგე ა. ი. ქალანთაროვი მთავრობის ბრძანებით დაინიშნა ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს დირექტორ-გამგედ.

—

შრომის სამინისტროს საქმეთა გამგედ დაინიშნულია ი. გოლდმანი.

სახელმწიფო მზრუნველობის (ლტოლვილთა დასაბინავებლად) სამინისტროს რწმუნებულებად დაინიშნენ ი. კონსტანტინოვი და გაზანჯიევი, პირველი ფოთის რაიონში, ხოლო მეორე ქალ. ტფილისში.

—

ბათომის ნავთსადგურის მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად მთავრობამ სამხედრო მინისტრის განკარგულებაში გადასდო 150 ათასი მანეთი.

—

დადგენილია მთავრობის სახელით გაიცეს განკარგულება, რათა იმ დაწესებულებებს, რომელნიც უქმდებიან, უფლება არა ჰქონდეთ ქონების გაყიდვისა მთავრობის სათანადო ორგანოების ნება დაურთველად. აღნიშნულ დაწესებულებებს აგრეთვე მოესპოთ კრედიტი.

—

ფინანსთა მინისტრს წინადადება მიეცა სამი დღის განმავლობაში წარმოადგინოს მოხსენება შესახებ სახელმწიფო ბანკისგან კერძო საკრედიტო დაწესებულებათათვის ფულის გაცემისა.

—

მთავრობის 13 მაისის სხდომაზე გზათა მინისტრს დაევალა განიხილოს [illegible] რკინის გზაზე არსებულ ტარიფის შესახებ. დაადგინეს აგრეთვე გადახდილ იქმნას ტყიბულის მაღაროების მუშების ფული. სხვა მოთხოვნილება შესრულებული არ იქნება.

—

მთავრობის სხდომები იქნება ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

## ზავის გარშემო

ბათომიდან ჩამოსულ ოფიცრის გადმოცემით, ბათომში დაჟინებით ლაპარაკობენ, რომ გერმანელებსა და ოსმალოებს შორის დიდი განხეთქილებაა ბათომისა და ბათომ-ბაქოს რკინის გზის შესახებ, რომელზედაც გერმანელები განსაკუთრებულ პრეტენზიებს აცხადებენ.

ამის გამო ოსმალეთში კვლავ ფეხს იკიდებს ფრანგ-ინგლისური ტენდენციები.

—

გადმოგვცემენ, თითქოს განჯისა და შემახის თათრებს ბათომში დელეგაცია გაეგზავნოთ და შუამდგომლობენ მიიღონ ისინი ოტომანის იმპერიის შემადგენლობაში. დელეგაციას სათავეში უდგას ცნობილი წევრი „მუსავათის" პარტიისა ექიმი სულთანოვი.

## ოზურგეთის გარშემო

ტფილისი, 13 მაისი. „ანდონიან". ქუთაისის გუბერნიის კომისარმა შემდეგი დეპეშა მიიღო ოზურგეთის კომენდანტისაგან (ოტომანის):

„საომარი ხასიათის პირობების გამო ჩვენ ვალდებული ვართ აღუკრძალოთ დელეგაციას ოზურგეთის დათვალიერება. ქალებს და ბავშვებს შეუძლიანთ ქალაქში მოვიდნენ, ყური უგდონ თავის საქმეებს და თვალყური ადევნონ თავის ქონებას იმ პირობით, რომ ისინი უკან გაბრუნდებიან. თვითეული მათგანის სიცოცხლე და ქონება უზრუნველყოფილია. დატაცებული ნივთები მოიძებნება და დაუბრუნდება პატრონებს". შემდეგ კომისარი ატყობინებს ამიერ-კავკასიის მთავრობას, რომ ოზურგეთი აოხრებულია და სავაჭრო დაწესებულებები განადგურებული: მცხოვრებლები დიდ სიმშილს განიცდიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოფიციალური დეპეშები

**ტფილისი.** 14 მაისი. ოფიციალური. 13 მაისი. 12 საათი.

კავკასიის ფრონტზე მშვიდობიანობა არ დარღვეულა.

# ომის დეპეშები

**სტამბოლი.** 13 მაისი. საომარი ცნობა.

**პალესტინის ფრონტი.** იერუსალემ-ნაბლუსის ერთ-ერთ გზაზე ჩვენმა ჯარმა იერიშები მიიტანა. ჩვენ მტრის პოციზიები დავიკავეთ. ამ პოზიციაზე მტერმა დასტოვა 1 ოფიცერი და 31 ჯარის კაცი (სულყველა მოკლულია) ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 1 ტყვიის-მფრქვეველი. გაზდანის აღმოსავლეთ სანაპიროზე ჩვენ მოვიგერიეთ მტრის პატრულების იერიშები.

ფრონტის დანარჩენ ნაწილას მხოლოდ საარტილერიო შეჯიბრებაა.

**მესოპოტამიის ფრონტი.** ჩვენი მარცხენა ფრთით მზვერავები მოქმედებენ.

**ბერლინი.** 13 მაისი. გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ცნობა. კემელის რაიონში საარტილერიო მოქმედება გრძელდება. ზოგიერთ ადგილას არტილერიას ქვეითა ჯარი ეხმარება. სხვა სექტორებში საომარი მოქმედება საღამოს გაძლიერდა. ალბერტის სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენ გავრეკეთ ინგლისელები, რომელთაც იერიშები მოიტანეს ჩვენ ბანაკზე. ფრონტის მრავალ ნაწილას მტერი განაგრძობს ზვერას: ჩვენ ისინი გავრეკეთ და ტყვეები წამოვიყვანეთ.

საჰაერო ბრძოლაში მტერმა აპრილის განმავლობაში გერმანიის ყველა ფრონტზე 12 საჰაერო ბალონი და 271 ჰაეროპლანი დაჰკარგა: ამათგან 122 ჩვენს ტერიტორიაზე ჩამოვარდა, ხოლო დანარჩენი მტრის ბანაკში. იმავე ხნის განმავლობაში ჩვენ დავკარგეთ 123 ჰაეროპლანი დ 14 საჰაერო ბალონი.

**ვენა.** 13 მაისი ოფიციალური ცნობა. იტალიის მთაგორიან ფრონტზე საომარი მოქმედება გრძელდება.

**პარიზი.** 13 მაისი. საომარი ცნობა. მთელ ფრონტზე გასულ დღე-ღამის განმავლობაში საგულისხმო არაფერი მომხდარა გარდა იმისა, რომ ავრის ორსავე ნაპირას ყუმბარების სროლა იყო.

# შავი ზღვის ფლოტი

**ტფილისი.** (მოსკოვის რადიოსადგურიდან) „ანდონსანი“.

**ბერლინი.** რუსეთის გარეშე საქმეთა რწმუნებულს. ასლი — რუსეთის წარმომადგენელს იოფფეს. 11 მაისის რადიოდეპეშით აღმოსავლეთის ფრონტის გერმანელთა ჯარის მთავარსარდალი მოითხოვდა რომ დაუყოვნებლივ დაებრუნებინათ სევასტოპოლში შავი ზღვის ფლოტი: ამ მოთხოვნას ის იმით ასაბუთებდა, რომ შავი ზღვის გემები არა ერთხელ ცდებდნენ მონაწილეობას უკრაინაში მყოფ გერმანელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში. თუ ეს მოთხოვნა არ იქნება შესრულებული, აღმოსავლეთის ფლოტის მთავარსარდალი იძულებული იქნება შეტევა განაგრძოსო. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი პროტესტს აცხადებს ამ მოთხოვნის წინააღმდეგ, რადგან ის ეწინააღმდეგება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას. შავი ზღვის ფლოტის დაბრუნება შავ ზღვაში შავი ზღვის ფლოტის ფაქტიურ კაპიტულიაციას უდრისო.

# რუმინიის ამბები

რეიტერის სააგენტო იუწყება: საზავო ხელშეკრულება, რომელიც ცენტრ. სახელმწიფოებმა შეჰკრეს რუმინიასთან, წარდგენილია დასამტკიცებლად. ბესარაბიაში ცენტრ. სახელმწიფოებს საჭირო ჯარი ეყოლებათ და ქარხნები საომარი მასალის დასამზადებლად. რუმინიის ძალებიც სრულიად დარჩება ბესარაბიაში ვიდრე საბოლოოდ გამოირკვეოდეს ამ ოლქის მდგომარეობა. დობრუჯა ბულგარეთის ტერიტორიას უერთდება: როგორც ეს ეკუთვნოდა მას ბუქარესტის 1909 წლის ხელშეკრულების ძალით.

# ახალი ამბავი

◆ **გზათა მთ. კომიტეტმა** განმარტა, რომ ყოველგვარი გადაყვან-გადმოყვანა და დანიშვნა გზათა აგენტებისა სწარმოებს ადმინისტრაციისგან გზათა მთ. კომიტეტთან შეთანხმებით და სარკინისგზო საქმეებში ჩარევა სხვა ორგანიზაციების მხრივ არ შეიძლებაო.

◆ **ქალაქის გადასახადები.** რეპრესიულ ზომების წყალობით, ქალაქის გადასახადების შემოტანამ თვალსაჩინოდ იმატა. ამავე დროს ადგენენ სიას დაუდევარ მოვალეებისას, რათა იგი წარუდგინონ ჯ. კაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს.

◆ **ქალაქის 25 მილ. სესხი.** ქალაქის 25 მილიონიან სესხის საქმე კარგად მიდის. მის რეალიზაციას კისრულობენ ბანკები და კაპიტალისტები.

◆ **განსაკუთრებულმა კოლეგიამ** დაადგინა რუსეთის ხაზინიდან მიღებულ 25 მილიონ მანეთიდან დაკმაყოფილდნენ ჯ. კაცები, ოსტატები და მუშები, რომელნიც გაუქმებულ ფრონტზე მუშაობდნენ, ხოლო ოფიცრებს და ჩინოსან მოსამსახურეებს მხოლოდ დამსახურებული ჯამაგირი შეშის ფულის გამოკლებით.

◆ **საუბნო სასურსათო კომიტეტები** ქალ. გამგეობამ დაამტკიცა წესდება საუბნო სასურსათო კომიტეტებისა. ქალაქში სულ 12 კომიტეტი იქნება, თვითეულში 15 კაცია: 3—ამ უბნის კოოპერატივებისაგან, 6 მუშათა დეპ. საბჭოსაგან და 6 მოქალაქეთა ორგანიზაციებისაგან. ამორჩეულების რწმუნება მხოლოდ 1919 წლის 1 იანვრამდე ვრცელდება.

◆ **პური.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა პური მხოლოდ სახლის კომიტეტებს მისცეს, კერძო მოქალაქეებს კი მოუსპოს, მხოლოდ დროებით პური მიეცეს ზოგიერთ დაწესებულებათა მუშებს, რომელთაც საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები ჰყავთ და რომელშიაც შედის არა ნაკლებ 100 მუშისა. ამ მუშებმა სახ. კომ. მოწმობა უნდა წარმოადგინონ, რომ სახ. კომიტეტის საშუალებით ისინი პურს არ იღებენ.

◆ **საადგილ-მამულო რეფორმა.** ბორჩალოს მაზრაში მიმღებმა კომისიებმა აპრილისთვის ჩასაბარებლად დანიშნეს 40 დიდი მამული საერთოდ 3,400 დესეტინის სივრცით.

◆ 13 აპრილს საღამოს 7 ნახევარ საათზე მიხეილის ქუჩაზე ციკლისტმა ა. ო. ოჰანესოვმა მოტოციკლეტით გასჭყლიტა ლ. მამაევის ქალი.

◆ **ტფილისის დამცველმა შტაბმა** შეიპყრო: დაბა საბურთალოს კომისარი ი. გლაბაჩიძე, მწერალი ლ. მოჩაიძე, წითელ რაზმელი პ. ბროძელი, მილიციონერი სუმბათ დელი-ოღლი, მოქალაქე ი. გაბლიაშვილი შოფერთა კავშირის თავმჯდომარეს მოკვლისათვის და მეძრთამეობისათვის, აგრეთვე იმათ უპოვეს 10 ვინტოვკა და მრავალი ტყვია წამალი, ყველა ესენი ციხეში არიან დაპატიმრებულნი. პორუჩიკი სტამბუროვი და კალპაკოვი სიმთვრალისათვის.

◆ **საქარხნო საბჭო.** გზათა მინისტრს მიანდვეს გამოარკვიოს რა სახსარია საქარხნო საბჭოს განკარგულებაში.

◆ **სამსახურიდან გადაყენება.** გუშინ გამოიცა ბრძანება ამიერკავკასიის მთავრობის კანცელიარიის გამგის სირინის ადგილიდან გადაყენების შესახებ. იმის ადგილზე უკვე დანიშნეს ნაფიცი ვექილი სერგი ჯაფარიძე.

◆ **გენ. ლებედინსკიმ** თხოვნა შეიტანა სამსახურიდან გადაყენების შესახებ. მთავრობამ ეს თხოვნა შეიწყნარა.

◆ **სალიკვიდაციო კომისია უკრაინის** საოლქო რადის შუამდგომლობის თანახმად, შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება გასცა შედგენილ იქმნას სალიკვიდაციო კომისია ალაზანის რაიონის მცხოვრებ უკრაინელების მდგომარეობის შესაფასებლად, რომელნიც ამიერკავკასიიდან გადავიდნენ.

◆ **საქართველოს სამხედრო გზის მუშებმა** მოითხოვეს დაუყონებლივ მისცენ მათ ჯამაგირი, წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვას იმუქრებიან.

◆ **თავდაცვის მთავარმა საბჭომ** წინადადება მისცა ტფილისის საკრედიტო დაწესებულებების კომიტეტს დაუყოვნებლივ შეასრულონ საბჭოს დადგენილება: მოსამსახურეების კონფლიქტის მოგვარება გადასცენ მომრიგებელ კამერას.

◆ **კოოპერატივების კავშირი სასოფლო მეურნეობისთვის.** ამ დღეებში ქალაქ თბილისში დაარსდა რამდენიმე კოოპერატიულ დაწესებულებათა კავშირი სოფლის ნაწარმოებთა გამსაღებელი და სხვადასხვა საქონლის შემძენი, რომლის მიზანია დაეხმაროს სოფლის მეურნეთ თავიანთ ნაწარმოების პირდაპირ ბაზარზე გატანა გასაღებაში და ამავე მეურნეობისათვის საჭირო ყოველგვარ ხელსაწყო იარაღისა და მასალის შეძენა —მიწოდებაში. კავშირი მოქმედობს უკვე პირველ მაისიდან შემდეგის მისამართით: მოსკოვის ქუჩა № 4.

◆ **ქართველ ქალთა სანიტარული** რაზმის კომისია უმორჩილესად სთხოვს ყველა სათნოების დას და ფერშალ ქალს, რომელიც არის ჩაწერილი რაზმში, გამოცხადდეს ქ-ნ თარხნიშვილთან, რადგანაც ბევრი მათგანი უკვე დანიშნულია ლაზარეთებში. მისამართი გაბაშვილის შესახვევი № 3.

◆ **ვასო აბაშიძეს იუბილე ქუთაისში.** ხუთშაბათს, 3 მაისს (15 მაისს) ქალაქის თეატრში ქუთ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების თაოსნობით გაიმართება დამსახურებულ მსახიობის იუბილე 40 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება „ხანუმა“ და „არც აქეთ, არც იქით“.

◆ **წარმოდგენა.** დღეს საღამოს სახალხო სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „მელანიას ოინები“ დასაწყისი საღამოს რვა საათზე ადგილების ფასი სახალხოა.

◆ **ქართველ ქალთა საზოგადოების** საჩაიემ „ძმურმა ნუგეშმა“ ათასი მანეთი შესწირა ბათომის პარტიზანულ რაზმს სააღდგომო საჩუქრებისთვის. რაზმის უფროსი გულითადს მადლობას უძღვნის საზოგადოების გამგეობას.

◆ **ოსმალეთის სომხები.** ოსმალეთის სომხების დელეგაციის ყრილობამ დაასრულა თავის მუშაობა, მიიღო გადაწყვეტილებანი სხვა და სხვა საკითხების შესახებ, რაიცა შეეხება ოსმალეთის იმ სომხების ეხლანდელ მდგომარეობას, რომელნიც ამიერკავკასიის საზღვრებში იმყოფებიან.

◆ **სომხები და ლტოლვილები.** სომეხთა ეროვნულმა საბჭომ დაადგინა სომეხ ლტოლვილებს ნება არ მისცეს ჩრდილო კავკასიაში წასვლისა შავის ზღვის ნავთსადგურებით ან საქართველოს სამხედრო გზით.

◆ **ხასმამედოვი,** განჯის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, დეპეშით იტყობინება, რომ სადგ. ძეგამზე მან გაგზავნა ასკერების ახალი რაზმი იმ ბოროტ-მოქმედთა ასალაგმავად, რომელთაც მოჰკლეს ფილიევი, დასჭრეს ერთ-ერთი მცველი და გააუპატიურეს ორი რუსის დედაკაცი. იგი ითხოვს აგრეთვე ჯავშნოსან მატარებელს.

# საქ სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

პარტიულ ამხანაგებს საყურადღებოდ აცხადებს ტფილისის კომიტეტი რომ ვისაც არა აქვს პარტიული საწევრო ბარათი ვალდებულნი არიან შეიძინონ. მიღება შეიძლება ბიუროში ყოველ დღე.

—

**ოთხშაბათს, 15 მაისს საღამოს 6 საათზე, პარტიულ კლუბში, გაიმართება ამხ. სამსონ ფირცხალავას მოხსენება შემდეგ თემაზე: ,,ბათომი და ოზურგეთი''.**

**მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი და აზრთა გაზიარება.**

—

ამიერკავკასიის რკ. გზის მოსამსახურეთა სოც.-ფედერალისტთა კოლლექტივის კრება დანიშნულია ოთხშაბათს, 15 მაისს, საღამოს 6 საათზე, მოძრაობის მეორე განყოფილების უფროსის კანტორაში. კოლლექტივის გამგეობა სთხოვს ამხანაგებს აუცილებლივ დაესწრნენ კრებას.

—

ხუთშაბათს 16 მაისს, პარტიის კლუბში დანიშნულია ტფილისის უბანთა წარმომადგენლების სასწრაფო კრება. სასურველია საუბნო კომიტეტები დაესწრნენ სრული შემადგენლობით.

—

პარასკევს, 17 მაისს, ნაძალადევში დანიშნულია მორიგი პარტიული კრება მოხსენებას წაიკითხავს ამხ. სამსონ ფირცხალავა, თემაზე: „ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა“ დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ეკლესიის ეზოში. ვსთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

# საქარ. ეროვნული საბჭო

**12 მაისის სხდომა.**

(გაგრძელება).

**გრიგოლ რცხილაძე.** ბატონებო! იმ დახასიათების, რომელიც აქ პავლე საყვარელიძემ წარმოგიდგინათ შესახებ ს. ჯაფარიძის პროექტისა, მე ბევრი არაფერი და მაქვს დასამატებლად. ვიტყვი მარტო, რომ იმას, რაც აქ ფედერაციის სახით წარმოგვიდგინა ს. ჯაფარიძემ, არავითარი მსგავსება არა აქვს არც ფედერაციასთან და არც კონფედერაციასთან.

# უნიტარული სახელმწიფოები, კონფედერაცია და ფედერაცია

## I

მას აქეთ, რაც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობა არსებითად არ შეცვლილა. მდგომარეობა მიუხედავად ამ ისტორიულ აქტისა იმოდენად სერიოზულია, იმოდენად რთული და მძიმე, რომ ძნელი სათქმელია გადადგმული ნაბიჯით შევსძლებთ თუ არა ამიერკავკასიაში მშვიდობიანობის დამყარებას და მით საშუალება მოგვეცემა შევუდგეთ ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ აღორძინებას.

თავდაპირველად დაბეჯითებით არ შეგვიძლია ვსთქვათ თუ როგორ დამთავრდება საზავო მოლაპარაკება ბათომში; რასაკვირველია ამ შემთხვევაში მეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საზავო მოლაპარაკება ჩვენ გამარჯვებას გვარგუნებს; პირიქით ვშიშობთ, რომ მოლაპარაკების დროს შესაძლებელია სამართლიანობაც არ იქნეს დაცული.

ნუ დაგვავიწყდება აგრეთვე ის გარემოებაც, რომ საზავო მოლაპარაკება ამიერკავკასიას მსოფლიო ომის იმ ხანაში უხდება, როცა გადამწყვეტი ამბები უნდა დატრიალდეს.

ომი—ტლანქ ძალის ბატონობაა და მის წარმოების დროს სამართლიანობას ადგილი არა აქვს. გერმანია და ოსმალეთი იმოდენად დაიცავენ ჩვენს ინტერესს, რომოდენადაც ეს უკანასკნელი არ ეწინააღმდეგება მათ პოლიტიკურ და ეკონომიურ მისწრაფებებს, და იმოდენად ანგარიშს გაგვიწევენ, რამდენათაც ჩვენ რეალურ ძალას წარმოვადგენთ.

ეჭვს გარეშეა ის ფაქტი, რომ ჩვენ ხელთ თითქმის არც ერთი უპირატესობა არ არის რეალური ძალა ჩვენი ზედმეტად სუსტია, არც ერთი საჭირბოროტო საკითხი ჩვენი ცხოვრებისა გადაწყვეტილი არ არის.

ის, რაც ეხლა ამიერკავკასიის სივრცეზე ხდება, ნათლად და სავსებით გვიშლის მთელი ჩვენი საერთო დეზორგანიზაციის სურათს და თუ ეს ჩვენ დეზორგანიზაცია ორგანიზაციად ვერ გადავაქციეთ, ამიერკავკასია და მასთან საქართველო სხვის სათარეშოდ გახდებიან და ახლო მომავალში ახალი ბატონები მოგვევლინებიან.

მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმეა. ჩვენ არც ფული გვაქვს, არც კრედიტი; არც ჯარი გვყავს, არც მოკავშირეები; ერთი ხელით შინაური ცეცხლი უნდა ჩავაქროთ—გათახსირებამ და ანარქიამ უმაღლეს წერტილამდის მიაღწია—და მეორეთი უნდა შევსძლოთ და მოვახერხოთ თავი დავიცვათ, ვინაიდან ჩვენს ახალგაზრდა თავისუფლებას ბევრი გარეშე მტერი გამოუჩნდა და ეს მაშინ, როცა შესაძლებელია მსოფლიო ომმა ახალი მიმდინარეობა მიიღოს და აზიის ფრონტი უმთავრეს ფრონტად გადაიქცეს და ჩვენი ქვეყანა, როგორც წარსულ საუკუნოებში, ცეცხლის მორევში გაეხვიოს. ამგვარ პირობებში უნდა ჩამოყალიბდეს ჩვენი ქვეყნისა და ამიერკავკასიის პოლიტიკური ცხოვრება, ამგვარ პირობებში უნდა შევქნათ სახელმწიფო თუ სახელმწიფოები ამიერკავკასიაში, შევიმუშავოთ კონსტიტუცია თუ კონსტიტუციები და დავამტკიცოთ ორგანიული კანონები, რომლის მიხედვით მოეწყობა მართვა-გამგეობის საქმე.

უნდა ვსთქვათ, რომ ისტორიაში ჩვენ არ ვიცით მეორე მაგალითი, სახელმწიფოებრივი ფორმების იმგვარ რთულ და მძიმე პირობებში შემუშავებისა, როგორც ეს უხდება ამიერკავკასიას. არც შვეიცარია 1291 წელს, არც ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები 1777 წელს, არც გერმანია 1815 წელს და არც ნიდერლანდები ისპანიასთან ბრძოლისა და განთავისუფლების დროს არ იყვნენ იმგვარ დამაფიქრებელ პირობებში, როგორც ამიერკავკასია.

ცამეტ კოლონიას ჩრდილო ამერიკაში, რომლებმაც ინგლისის ბატონობა მოსპეს მე-18 საუკუნის ბოლოში, ჰქონდა ერთი სარწმუნოება, ერთი ენა, ერთგვარი ზნე-ჩვეულება და თითქმის ერთგვარი კანონები; ისინი იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ; ამისათვის მათ საკმარისად სერიოზული და დიდი საფუძველი ჰქონდათ, რათა მჭიდროდ შეკავშირებულიყვნენ.

მაგრამ ვინაიდან თვითეული მათგანი გაცალკევებული ცხოვრებით ცხოვრობდა და იმგვარი მთავრობა ჰყავდა, რომელიც მას ესაჭიროებოდა, თვითეულ კოლონიაში შემუშავებული იყო თავისი კერძო ინტერესები და ჩვეულებები და ეს გარემოება იყო მიზეზი იმისა, რომ ცამეტ კოლონიას პირველ ხანებში არ ჰქონდა სურვილი იმგვარ სრულ და მჭიდრო კავშირისა, რომელსაც შეეძლო მოსპობა მათი ინდივიდუალურ მნიშვნელობისა და გაძლიერება საერთოსი..

დაახლოვებით თითქმის ასეთივე პირობებში მიმდინარეობდა შეერთების საქმე შვეიცარიაში, გერმანიაში და ყველგან, სადაც ცხოვრებამ და ისტორიამ ეს პრინციპი შეერთებისა წამოაყენა. სქემა საერთო ამგვარია— უნიტარული სახელმწიფო, შემდეგ კონფედერაცია და ბოლოს ფედერაცია.

1777 წელს 13 ჩრდილო ამერიკის კოლონიამ შექმნა კონფედერაცია, რომელიც თორმეტ წლის შემდეგ ფედერაციად გადაიქცა; 1861 წ. ამერიკის კავშირს ჩამოშორდა სამხრეთის შტატები, მათ დაარსეს განსაკუთრებული კონფედერაცია და ეს უკანასკნელი განადგურებული იყო ჩრდილო შტატების მიერ დაწყებულ ომში. სამმა შვეიცარიის კანტონმა 1291 წელს შეადგინეს კონფედერაცია; ამ კონფედერაციას შემდეგ შეუერთდნენ სხვა კანტონები; 1291 წელს დაარსებულმა კონფედერაციამ ხუთი საუკუნე იარსება (1798 წ.) 1815 წელს ეს კონფედერაცია აღდგენილ იქმნა და 1848 წელს ფედერაციად გადაიქცა. კონფედერაციას წარმოადგენდა აგრეთვე გერმანიის კავშირი 1815 წლიდან 1866 წლამდე, თუმცა თანამედროვე გერმანია, ძნელი სათქმელია, თუ რომელ ტიპის სახელმწიფოს წარმოადგენს. თავისებურება გერმანიის კონსტიტუციისა ორი პირობით განისაზღვრება. თავდაპირველად მონარქიულ წესწყობილებით, რომელიც კერძო სახელმწიფოებში არსებობს და შემდეგ მით, რომ არ არსებობს მტკიცე გამიჯვნა იმპერიის ნება-უფლების კომპეტენციისა და კავშირის შემადგენელ წევრთა უფლებათა შორის. იმპერიის ნება-უფლება ყოველთვის შეიძლება გაფართოვებული იყოს კანონმდებლობითი სახით, დ თვითეულ სახელმწიფოს უფლება იმით არის მხოლოდ დაცული, რომ ყოველი შესწორება კონსტიტუციაში შესაძლებელია უარყოფილ იქმნეს, თუ მის წინააღმდეგ მოკავშირე საბჭოსი 14 ხმა იქნება. ლიტერატურაში აზრთა დიდი სხვა და სხვაობა არსებობს სახელმწიფოთა კონსტიტუციების შესახებ. უფლების არც ერთი კითხვის შესახებ არ ყოფილა იმოდენი დავა და წინააღმდეგობა, როგორც ფედერატიულ სახელმწიფოს შესახებ. ბევრი სიმახვილე და ანალიტიური ვირტუოზობა იყო დახარჯული, რომ შეერიგებინათ სახელმწიფოებრივი ნება უფლების განაწილება აქ სუვერენიტეტის ჩვეულებრივ თეორიასთან. ადვილი გასაგებია ეს ქანაობა იურიდიულ აზრისა: საერთო შემოხაზულება სისტემისა შექმნილ იყო იმ მასალის მიხედვით, რომელსაც წარმოადგენდა უნიტარული სახელმწიფო; და ის, რაც მიჩნეული იყო რაციონალურ-საჭიროების სახით, სავსებით არ შეეფერებოდა სინამდვილეს. ისტორიულ პოლიტიკური ცხოვრება კი ფართოვდებოდა: სახელმწიფოების კონფედერაციის გვერდით გაჩდა ფედერატიული სახელმწიფოც, სადაც ცენტრალური ნებაუფლებას საქმე ჰქონდა არა მარტო ფედერაციის შემადგენელ ნაწილთა მთავრობასთან, არამედ პირდაპირ მთელი ფედერაციის მცხოვრებლებთან.

კონსტიტუცია ჩრდილო ამერიკისა წარმოადგენდა ახალ ტიპს იმგვარ სახელმწიფოსას, რომლის ახსნა და განმარტება სრულიადაც არ თავსდებოდა გავრცელებულ სქემის ფარგლებში. რასაკვირველია, წინანდელი სისტემა გადასინჯულ იქმნა: შემუშავებულ იქმნა მოძღვრება ფედერატიულ სახელმწიფოსა და მის ფარგლებში ორმაგ სუვერენიტეტის შესახებ; ეს მოძღვრება დამყარებული იყო ამერიკის პოლიტიკურ ცდაზე და მისი ნიჭიერი გამომკვლევები იყვნენ ტოკვილი საფრანგეთში და ვაიცი გერმანიაში, მაგრამ არც ეს თეორია ფარავდა პოლიტიკურ სინამდვილის მრავალ-ფეროვნებასა და სხვა და სხვაობას: სრულიად ორიგინალური იყო სახელმწიფოებრივი უფლების თვალ-საზრისით ავსტრო-უნგრეთის დუალისტური მონარქია და ჩრდილო გერმანიის კავშირი, რომელიც შემდეგ გერმანიის იმპერიად გადაიქმნა.

სწორედ ამ უკანასკნელმ ორგანიზაციამ გამოიწვია ფედერატიულ სახელმწიფოს ახალ ფორმების ინტერპრეტაცია და გამორკვევა კერძო სახელმწიფოთა დამოკიდებულებისა ცენტრალურ ნება უფლებისაგან, ეს გამორკვევას დ გამოკვლევას მტკიცე იურიდიული ხასიათი ჰქონდა. ფედერალურ სახელმწიფოში ხედავდენ სრულიად გარკვეულ ტიპს, რომელიც ღირსებით განირჩევა უნიტარულ სახელმწიფოსაგან. მართალია, აღნიშნულ იყო, რომ ფართო განვითარება ადგილობრივ ავტონომიებისა, ფართო დეცენტრალიზაცია უნიტარულ სახელმწიფოსაც აძლევს ფედერალურ სახელმწიფოს მგზავსებას; მაგრამ იურიდიული თვალთსაზრისი მოითხოვს, რომ გადამავალმა ფორმებმა არ გააქარწყლონ ძირითადი განსხვავება ორ სახელმწიფოთა ტიპისა.

ამ შემთხვევაში ზედმეტად საყურადღებოა და ტიპიური ელლინეკის სიტყვები: „ეხლაც ყოველ მხრივ გვესმის იმის მტკიცება, რომ საზღვრები სახელმწიფოთა კავშირისა და შეკავშირებული სახელმწიფოთა შორის მიმდინარეა და არის მრავალგვარი გადამავალი პოლიტიკური საფე მარტივ კავშირიდან უნიტარულ სახელმწიფომდე. მაგრამ ასეთი შეხედულება არის შედეგი პოლიტიკურ და იურიდიულ თვალთა ხედვის ისრის ერთმანეთში შერევისა. შემეცნებანი უფლებას მტკიცედ გამორკვეული არიან, მათი ერთმანეთში შერევა იქნება ცოდნის ნამდვილი სიკვდილი, უფლებრივი ცხოვრების მოსპობა. რა წარმოუდგენელი საშიშროება იქნებოდა საზოგადოდ ცხოვრებისათვის, ოჯახისათვის, საკუთრებისათვის თუ მოისპობოდა ყოველი განსხვავება ყიდვა-გაყიდვის და დაქირავების შორის, განზრახ მკვლელობისა და უბრალო მკვლელობის შორის!... სწორედ იმაში მდგომარეობს არსებითად მნიშვნელობა უფლებისა, რომ ის საზღვრავს მიმდინარე ცხოვრების ურთიერთობას მტკიცედ გარკვეულ შემეცნებათა საშუალებით.“

მაგრამ იელლინეკმა, რომელმაც შექმნა თეორია ეგრე წოდებულ სახელმწიფოთა ფრაგმენტებისა, დაგვანახა, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს მრავალ-ფეროვან სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოთავსება საერთოდ მიღებულ სქემის ფარგლებში.

მაშასადამე ცხადია, რომ იურიდიული თვალთსაზრისი არ არის ერთად ერთი. ჩვენ შეგვიძლია დავუპირდაპიროთ მას პოლიტიკურ ემპირიული თვალთსაზრისი, რომელიც სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოვლენებს არკვევს იმ სახით, როგორც ისინი მიმდინარეობენ „საგანთა ჰერაკლიტის ნაკადულში“; გამომკვლეველი, თუ კი აქედან გამოვა, არ დაფიქრდება რთულ სახელმწიფოში სუვერენიტეტის განსაზღვრის შესახებ; მთელ მის ყურადღებას მიიპყრობს გამორკვევა იმ გარემოებისა, თუ როგორაა განაწილებული ნება-უფლება სახელმწიფოში და რაგვარი ფაქტიური დამოკიდებულება იმალება საკონსტიტუციო აქტების ტექსტებში: ძიებით მალე დარწმუნდება გამომკვლეველი, თუ ნამდვილად რამდენად დიდ მნიშვნელოვანია იურისტისა და პოლიტიკის აზროვნების მეთოდების განსხვავება.

ამ შემთხვევაში — უნიტარულ და ფედერალურ სახელმწიფოს განსაზღვრის საკითხში—ჩვენ ვნახულობთ ათასგვარ სხვადასხვაობას, რომელიც არ თავსდება ჩვეულებრივ ფარგლებში. უნიტარულ სახელმწიფოში ნება უფლებას შეუძლია დიდის ზრუნვით და გულმოდგინედ დაიცვას თვისი ყოველად შეძლებლობა და ადგილობრივ თვითმართველ ორგანოებს დაუთმოს ნათლად გარკვეული და მტკიცედ განსაზღვრული სფერო, სადაც ისინი მოქმედებენ ცენტრალურ მთავრობის [illegible] ზედამხედველობის დროს.

პირიქით, შესაძლებელია, სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება და სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საერთო მიმდინარეობა ხელს უწყობდეს ადგილობრივ თვითმართველობის ფართო კომპეტენციას და ფართო დამოუკიდებლობას და მათ განმტკიცებისათვის ზრუნავდეს. იურისტი ორივე სახელმწიფოს ერთგვარად უნიტარულ სახელმწიფოებად მიიჩნევს და აღიარებს, ნამდვილად კი განაწილება ნება-უფლებისა, რასაც ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაზე დიდი გავლენა აქვს, სულ სხვა გვარი იქნება. მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი.

ალ. მდივანი.

მე დაგისახელებთ ნიდერლანდების კონსტიტუციას, სადაც შეტანილია ისეთი მუხლი, რომელიც კონსტიტუციას მეტ უპირატესობას აძლევს იმ პროექტთან, რომელიც აქ წარმოგვიდგინეს.

მაგრამ აქ არ არის საინტერესო თეორიული კრიტიკა. საინტერესოა აქ სხვა რამ, სახელდობრ, საინტერესოა შევიგნოთ ის პოლიტიკური ზრახვანი და მისწრაფებანი, რომლებითაც გამსჭვალულნი არიან პროექტის წარმომადგენელნი.

ჯაფარიძემ ჩვენში ძლიერი პარტიის სახელით მოგახსენათ, რომ **ჩვენი ინტერესი მოითხოვს ჩვენი გავლენის ქვეშ ვიყოლიოთ მეზობელი ერთა დემოკრატიაო,** ჩვენი ხალხი, სთქვა მან მეორე ადგილას, არსებითად დემოკრატიულია და დემოკრატიზმის ინტერესიც ნასვე მოითხოვს, რომ მეზობელ ხალხთა დემოკრატიები მის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენო. ასეთი სულისკვეთება, ასეთი მისწრაფება და ზრახვა არის მხოლოდ და მარტო იმპერიალიზმი. განა გერმანიის თუ სხვა ქვეყნების იმპერიალისტები იმასვე არ ამბობენ, რასაც აქ სოც.-დემოკრატები ლაპარაკობენ, განა ისინი არ ამბობენ, რომ კულტურის გასავრცელებლად იბრძვიან და ყველას იმორჩილებენ? თქვენი მისწრაფება იმპერიალისტურია, რა უყოთ რომ სოციალისტები ხართ. განა იმპერიალიზმი მარტო ბურჟუაზიული შეიძლება იყოს?

იმ ქვეყნების წარსულს, სადაც დღეს ფედერატიული წესწყობილებაა დამყარებული, თვალი რომ გადაავლოთ, დაინახავთ, რომ დღევანდელი ფედერატიული წესწყობილება წარმოსდგა წინანდელ კონფედერატიულ წესწყობილებიდან. ყველგან სწარმოებდა ბრძოლა ფედერაციასა და კონფედერაციის შუა და ყველგან კონფედერაცია წინ უძღოდა ფედერაციას.

მე ვფიქრობ, რომ რასაც აქ გვიდგენენ, იქ ანხორციელებდნენ ომით, ცეცხლით, მახვილით? თქვენ ეს გნებავთ? ან შეგიძლიანთ?

წარსულ საუკუნის განმავლობაში ამიერკავკასიის ერთა შორის შედარებითი სიწყნარე ჩამოვარდა და ის შესევა-აწიოკება, წინად რომ გამუდმებით ვხედავდით, ამ საუკუნეში მთლად მოისპო ან და ძალიან თვალსაჩინოდ განელდა. რად მოხდა ეს? იმიტომ, რომ იყო ძალა, რომელიც ქმნიდა წონასწორობას ამიერკავკასიის ერთა შორის. ამიერკავკასიაში არ ყოფილა მთავარმართებელი, რომელიც ერთნაირად ყველა ერის დამაკმაყოფილებელი ყოფილიყოს თავის პოლიტიკით, ერთი ერთს მფარველობდა და მეორეს სდევნიდა, მეორე მეორეს მფარველობდა და პირველს სდევნიდა. მაგრამ არას დროს არ ყოფილა ისეთი პოლიტიკა მთავარმართებლისა, რომელიც ერთნაირად დამაკმაყოფილებელი იქნებოდა ყველა ერისა ანდა ერთნაირად ყველაში უკმაყოფილების გამომწვევი. დღეს ის ძალა, რომელიც ჩვენში ერთა წონასწორობას ამყარებდა, აღარ არის, ის ძალა მოვიშორეთ, მაგრამ სად არის ძალა, რომელიც დღეს ამ წონასწორობას შექმნის? ძნელი და შეუძლებელია ისეთი პოლიტიკის წარმოება, რომელიც ერთნაირად დამაკმაყოფილებელი იქნება ან ერთნაირად უკმაყოფილების გამომწვევი ყველა ერში.

ეს შეუძლებელია. მაშ რას დაუყენებენ ისინი, უნიტარულ პროექტის შემომტანნი, წინ იმ ერებს, რომელნიც მათი პოლიტიკის უკმაყოფილონი დარჩებიან. ასეთი ძალა არა გაქვთ და, **მაშასადამე,** ვერც დაუყენებთ მას.

მოხსენებაში ს. ჯაფარიძემ ცენტრს, კავშირს მიაკუთვნა მთელი ის ფუნქციები, რაც ახასიათებს სახელმწიფოს. რაღა დარჩა აქ ადგილობრივ სახელმწიფოებს? არაფერი! თუ ასეა, საჭირო აღარ ყოფილა საქართველოს კონსტიტუციის შედგენა, არამედ დავკმაყოფილდეთ იმით, რომ შევიმუშავოთ თვითმართველობის პროექტები.

ამიერკავკასიის ერებს, მათ ურთიერთობას ახასიათებს უნდობლობა, რაც, როგორც პ. საყვარელიძემ აღნიშნა, ცხადად სჩანს ეხლანდელს სეიმში. ეს უნდობლობა იმდენად ცხადია, რომ ყველა ხედავს და რატომ ამ ფაქტორს ანგარიშს არ უწევენ, არ ვიცი. ამიერკავკასიის ყველა ერმა იცის, რომ თვითეული იმდენად უძლურია, რომ არ შეუძლიან სხვა ერი, მის მეზობლად მოსახლე, დაიმორჩილოს. აი ეს გარემოება ჰქმნის წონასწორობას ერთა შორის. საერთო საქმეები უნდა იყოს ის, რასაც მოითხოვს საერთო საზღვარი. ასეთია ოთხი საქმე: საგარეო პოლიტიკა, სამხედრო, საბაჟო და საფინანსო. რაც ამ ოთხ საქმეს გარეშეა, ის თვითეულ ერის სახელმწიფოს უნდა მიენდოს.

ყალბი წარმოდგენაა, ვითომ თუ არ იქმნა საერთო ფოსტა-ტელეგრაფი, თუ არ იქმნა ერთნაირი ვექსილი ხონსა და ნუხაში, ისე ცხოვრება დაირღვევა, კავშირი ძლიერი აღარ იქნებაო. განა რუსეთის და გერმანიის ფოსტა-ტელეგრაფი სხვა და სხვა წესებს ექვემდებარებოდა, მათში კავშირი არ იყო. ვექსილთა სხვა და სხვაობა ვაჭრობას შეაფერხებსო, სთქვეს აქ. გერმანიასა და რუსეთში საექსილო უფლება სხვადასხვაობს, მაგრამ ამ ქვეყნებს სავაჭრო ხელშეკრულება ჰქონდათ.

ასევე იქნება ჩვენშიც, თუ კულტურა გვაქვს, თუ არა და ვერც კონსტიტუცია გვიხსნის.

ფედერაციისა და კონფედერაციის განსაზღვრის დროს ს. ჯაფარიძემ ბრძანა, ფედერაცია არის ძლიერი კავშირი, ხოლო კონფედერაცია არის სუსტიო. საკითხის ასე დაყენება ყოვლად შეუძლებელია. კითხვა რომ ასე დავაყენოთ, ვინ არ იტყვის, რომ ძლიერი კავშირი სჯობიან სუსტსაო. მაგრამ ნამდვილად საქმე ის არის, რომ **კონფედერაციას სახელმწიფოებრივი უფლება არა აქვს, ხოლო ფედერაციას აქვს; კონფედერაციის საფუძველი არის შეთანხმება იმ ერთეულებისა, რომელნიც კონფედერაციას შეადგენენ, ხოლო ფედერაციის საფუძველი არის საკუთარი უფლება, ნება, სუვერენიტეტი.**

ეხლა შევეხებით ორგანიზაციის სქემას. იმ ერთ პარლამენტში, რომელსაც აქ გვირჩევენ, საინტერესო პირველ ყოვლისა რა ენაზე ილაპარაკებენ? ეხლა ატავიზმის წყალობით რუსული ვიცით და ჯერ კიდევ ამ რუსულით წავალთ იოლას. მაგრამ შემდეგ რა იქნება? რა ენა უნდა ვასწავლოთ ჩვენ ბავშვებს? რომელ ენას უნდა მიეცეს უპირატესობა: ქართულს, თათრულს თუ სომხურს? ხომ ეროვნული თავმოყვარეობა ნებას არ მისცემს ერთ-ერთ ენას უპირატესობა მისცეს თავის ენის წინაშე? თუ მაგალითად მოიყვანთ შვეიცარიას, იქ სულ სხვა ნიადაგია და სხვანაირი ვითარება საქმისა. გერმანულს და ფრანგულს იქ ერთნაირი კულტურული ღირებულება აქვთ. აქ კი სულ სხვაა. ასე რომ ფაქტიურად ჩვენ პარლამენტი არ გვექნება. ეს სიყალბე, ერთხელ და ერთგან დაშვებული, მთლად ჩვენ ცხოვრებას გადაეცემა. თუ უნიტარიზმით არ ვიქნებით მეტისმეტად გამსჭვალულნი, ჩვენ შევვიძლიან ჩვენი ენით და ჩვენი ძალით ვაწარმოვოთ ჩვენი საქმეები.

ზოგს აქ სასაცილოდაც არ ყოფნის ის აზრი, რომ საერთო საქმე დელეგაციათა საშუალებით იქნება გადაწყვეტილი. განა ეხლანდელი სეიმის კრებები და ერთობ მუშაობა მუნჯურად არ სწარმოებს? მართალია თქვენ იწუნებთ დელეგაციას, მაგრამ კრებებით, იქ უფრო მეტი წესრიგით სწყდება საქმეები, ვიდრე უნიტარულ პარლამენტში, სადაც მუშტი-კრივით და ერთმანეთში დარევით სწყვეტენ საკითხს.

სოც. დემოკრატების გულის ზრახვა ახალი არ არის. ჯერ მთელ მსოფლიოს ეპოტინებოდით, იგი თქვენ არ გამოგყვათ, მერე მთელ რუსეთის პატრონობდით, იგი დაინგრა ისე, რომ აღდგენა გაუძნელდება. ეხლა მთლად ამიერკავკასიას ეპოტინებით, მაგრამ აქაც ვერას გააწყობთ. გინდათ ვიცი დაჰლოპოთ? მთელი 25 წელიწადია, რაც თქვენი პარტია საქართველოში მუშაობს, მაგრამ საქართველოს ს. დ. საოლქო კომიტეტი ჯერაც არა გაქვთ, ამიერკავკასიისა კი გაქვთ; მიუხედავად ამისა თქვენ ამიერკავკასიაში, საქართველოს გარდა, 25 წელიწადში მომხრეები ვერ იშოვეთ. რად მოხდა ეს? (არსენიძე ადგილიდან: აკრძალული იყო). აქაც აკრძალული იყო, მაგრამ მუშაობდით და მომხრეებიც გყავთ. მაშ საქმე აკრძალვა არ არის. რატომ მუსულმანებში არა ხართ? იქ სოც. დემ. თავის სახე მონახა ეროვნული, რომელსაც შეიძლება თქვენთან კონტაქტი ჰქონდეს, მაგრამ ეროვნულ საქმეებში ის თავის თანამემამულეებთან არის და მუშაობს.

თუ ამიერკავკასიის პარლამენტს კანონიერი მმართველობა მიეცა, ისინი, როგორც უმრავლესობა, თავიანთ სურვილებს და უფლებებს მოახვევენ. ეხლა დღესტანიც შემოდის. მაშინ ხომ ისინი აბსოლიუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ. და იმედია ისინი, როგორც დღეს,—ამის საუკეთესო მაჩვენებელია სეიმი,—არ დაემორჩილებიან ჩვენ სოციალ-დემოკრატებს.

ჩვენი ფრაქციის აზრით, ჩვენ არავართ არც წმინდა ფედერაციის და არც წმინდა კონფედერაციის მომხრენი. ჩვენ ვემხრობით ისეთს შერეულს კონსტიტუციას, სადაც გამოსჭვივის ელემენტი ორივესი. გერმანიის რეიხსტაგში ერთმა დეპუტატმა განაცხადა: დიდებული ერები არავის არ ბაძვენო. მართალია ჩვენ, ქართველებს, ამის თქმა არ შეგვიძლიან, მაგრამ მაინც შემოვიღოთ ისეთი კონსტიტუცია, რომელიც არსებულ კონსტიტუციებისგან ზოგიერთ რამეში განსხვავდება. ჩვენი ცხოვრების რეალურ პირობებს უფრო შეესაბამება, ვიდრე მზამზარეული კონსტიტუციები. და მერე მეცნიერება თავი იმტვრიოს თუ რა ტიპისაა ჩვენი კონსტიტუცია.

შემდეგ გრიგოლ რცხილაძე კითხულობს რუსულად იმ პროექტს კონსტიტუციისას, რომელიც მას განზრახული აქვს წარუდგინოს მთავრობის საკონსტიტუციო კომისიას.

**გ. გვაზავა** არ ეთანხმება არც ერთ წინა მომხსენებელს და მოითხოვს რეალურ პირობების გამო საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადოს, დამოუკიდებლივ იცხოვროს.

პავლე ხაბაშვილი სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ მისი ფრაქცია მხარს აძლევს კონფედერატიულ წესწყობილებას.

გ. ლასხიშვილი შემოიტანა წინადადება კამათი შესწყდეს.

ხმის უმრავლესობით ეროვნული საბჭო ადგენს კამათი შესწყდეს, ხოლო კამათის გაგრძელება მოჰხდეს სამშაბათს, 14 მაისს, საღამოს 7 საათზე.

კრების დახურვის წინ **გ. ვეშაპიძე** ჰკითხულობს შეკითხვას ლტოლვილების შესახებ.

**გ. ლასხიშვილი** აცხადებს, რომ ეს შეკითხვა საბჭოს აღმ. კომიტეტს ჯერ არ განუხილავს და პასუხიც შეკითხვაზე მაშინ იქნება გაცემული, როცა იგი განიხილავსო.

სხდომა ეროვნულ საბჭოსი სრულდება საღამოს ხუთის ნახევარ საათზე.

## ქ. შ. წ.-ქ. გ. საზ. რწმუნებულთა კრება 12 მაისს 1918 წ.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგმა დ. გ. კარიჭაშვილმა დღის 12 საათზე და 20 წუთ. ახალი კლუბის დარბაზში.

დაესწრნენ: გრ. რცხილაძე, თ. კიკვაძე, ნინო ნაკაშიძე, შიო დედაბრიშვილი, ლ. ბოცვაძე და გარდა ზემო დასახელებულ პირებისა 18 რწმუნებული: ა. მამულაიშვილი, ნ. ცინცაძე, ს. იაშვილი, ვ. ბურჯანაძე, ივ. ავალიშვილი, ფილიპე მგელაძე, ნიკიფორე მამინაიშვილი, ნ. მამულაიშვილი, გ. მაჭავარიანი, ხარ. ჩაქარეიშვილი, ვ. დაფქვიაშვილი, კ. გვარჯალაძე, ვ. წერეთელი, გ. იმნაიშვილი, დ. ხოშტარია, ე. პატაშვილი, იულია იაშვილი, პ. კახიანი.

**დ. კარიჭაშვილი** ბ ბო, ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარე გ. ნ. ყაზბეგი სალამს უძღვნის დღევანდელს კრებას, პირადად იგი კრებას ვერ ესწრება, რადგანაც მას უბედურება ეწვია: გარდაეცვალა მეუღლე, რომელსაც ჩვენი საზოგადოების წინაშე სამსახური მიუძღვის. დღევანდელს კრებას კანონიერად ვაცხადებ და გთხოვთ აირჩიოთ თავმჯდომარე.

კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა დ. გ. კარიჭაშვილი, ხოლო მდივნად ვ. ბურჯანაძე.

**დ. კარიჭაშვილი** მადლობას უძღვნის კრებას ნდობის გამოცხადებისათვის. ბ ბო, როგორც კრების გახსნის წინ მოგახსენეთ გარდაცვალა ჩვენის საზოგადოების თავმჯდომარის გ. ნ. ყაზბეგის მეუღლე, რომელსაც ერთგვარი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი საზოგადოების ნივთიერ ღონისძიებათა გაძლიერების საქმეში. წინადადებას ვაძლევ კრებას ფეხზე წამოდგომით პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას (თავმჯდომარის წინადადებას კრება ერთხმად ღებულობს). ამასთან ცნობად უნდა ვაუწყოთ, რომ გამგეობის ნებართვით განსვენებულის ნაშთი დაკრძალულ იქმნას ქართველ მოღვაწეთა პანთეონში დროებით, შემდეგ ნეშტი წასვენებულ იქმნება სამშობლო სოფელ სტეფანწმინდაში.

გამგეობის დადგენილებით გვირგვინის ნაცვლად განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად გადადებულ იქმნას 100 მანეთი სტეფანწმინდაში არსებულ საფეიქრო სკოლის სასარგებლოდ.

კრება გამგეობის დადგენილებას ერთხმად ღებულობს, ანდობს თავმჯდომარეს კრების სახელით სამძიმრის დეპეში გაუგზავნოს განსვენებულის მეუღლეს.

თ. კიკვაძე „მართალია დღევანდელი კრება კანონიერად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ წარმომადგენლები არ გამოუგზავნიათ ბაქოს, ბათომის, კავკავის, სოხუმის და სხვა მრავალ განყოფილებებს; ტფილისის განყოფილების მხრივაც კი 50 კაციდან ნახევარიც არ გამოცხადებულა, დღევანდელი კრების კანონიერად აღიარება შეუძლებელია. კრება შემდეგისათვის უნდა გადაიდოს, ხოლო კრების დღის დანიშვნა უფრო მოხერხებულ დროს თვით გამგეობას მიენდოს.

თავმჯდომარე ღებულობთ თუ არა ბ-ბო, ბ ნი თ. კიკვაძის წინადადებას?

თ. კიკვაძის წინადადებას კრება ერთხმად ღებულობს.

თავმჯდომარე მართალია კრება გადაიდო. მაგრამ საჭიროა დღევანდელმა კრებამ, რომელიც წესდების ძალით კანონიერია, ნება დართოს გამგეობას მიმდინარე ხარჯები აწარმოვოს მის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

თავმჯდომარის წინადადებას კრება ერთხმად ღებულობს.

## სია ბათომში დაჭრილ დახოცილთა

### გარდაიცვალნენ:

ჭრილობებისაგან პოლკოვნიკი ბალანჩივაძე, კორნეტი ლომინაძე კონსტანტინე; ჯარის-კაცები: დიდებიშვილი გიორგი ბათომ ს პოლკ., ხორავა პლატონ 1 პოლკისა, ნანავა გრიგოლ მე 3 პოლკ., კალჯარია იონა სამთომბატარეისა, ლომიძე სერაფიონ 1 ქართ. პოლკ., გუგუშვილი კლემენტი 1 ქარ. პოლკისა, კვაჭაძე გერმანე მე-4 ქართ. პოლკ., კაპანაძე მიხეილ 1 პოლკისა, ტიკარაძე მათე მე-4 პოლ., ჩომახიძე იასონ მეხელაური, პოდპორუჩიკი კოპადეიშვილი მარკ მე-3 პოლკისა.

### დაჭრილნი არიან:

მსუბუქად ჯარის კაცები: კვანტალიანი სევერიანე, სანიკიძე ნიკოლოზ, ჩაჩანიძე ილარიონ, გაბუნია არსენ, მურვანიძე მიხეილ, ხეთაგური პეტრე ექიმი ძიმიძე, აფიცრები: ძიმიძე მელიკა გრიგოლ, კირილოვი იაკობ, მხეიძე კონსტანტინე, ოყრომშიძე ივანე, სანებლიძე ივანე, ასათიანი დათიკო.

**ჯარის კაცები:** შარაშენიძე გრიგოლ მსუბუქად, შურვინიძე კონსტანტინე მძიმედ, კიღლაძე ბაგრატი მსუბუქად, იაკობიძე გენადი მსუბუქად, პოხნიაკოვი კონსტანტინე მძიმედ, ფრონიშვილი სერაფიონი მსუბუქად, ნაზაროვი გრიგოლ მსუბუქად, ბარამიძე ივანე მსუბუქად, დუმბაძე ვლადიმერ მძიმედ, გალდავა ალექსანდრე მსუბუქად, მაკარაძე ლავრენტი მსუბუქად, მორჩილაძე ქიშვარდი მსუბუქად. დუმბაძე მიხეილ მსუბუქად, ხაჩიძე იასონ მსუბუქად ჯანელიძე იასონ მსუბუქად, ჩხიკვაძე მიხეილ მსუბუქად, ბუაძე შალვა მსუბუქად, ლამბაშიძე ივანე მსუბუქად, ბანცაძე ილია მსუბუქად, მიქაბერიშვილი გერმანე მსუბუქად, ქართველიშვილი იოსებ მძიმედ, ტყემალაძე კონსტანტინე მსუბუქად, ბრეგვაძე ბიქტორ მსუბუქად, კაპანაძე სიმონ მსუბუქად, ძიმიძე ლიადოვი ვასილ, ცუცქირიძე სტეფანე, კვენიტაძე ნოე, ივანიძე გრიგოლ, ხვანიშვილი სამსონ, გოგორიშვილი ნიკოლოზ, პეტროვი სერგო, ძნელაძე ნიკოლოზ, კაპანაძე ვლადიმერ, გობრონიძე ვლადიმერ, ორლოვსკი შალვა, ვადაჭკორია დამიანე, აბრამიშვილი ვარდენ, შარაშიძე კლიმენტი, გორბელაძე ალექსანდრე, კალანდაძე პავლე, ცინცაძე შალვა, დოლიძე ნიკოლოზ, ჩხაიძე დომენტი, ტყემალაძე დომენტი, მსუბუქად არიან: წერეთელი შალვა, ცხაკაია აკაკი, ზოიძე მოსე, შეწირული იაკობ, ურუშაძე ეპიფანე, ბიწაძე ივანე, ბეთანოვი სტეფანე, ხ. ჯალია ვარლამ, ნაცვლიშვილი აკაკი, მიქიბაძე ნიკიფორე, მაჭავარიანი ივანე, ჯინჭარაძე ილია, ალავიძე ანტონ, კუცია იაკობი, ფოცხვერაშვილი გიორგი, ჩიჩუა იონა, ბებელაშვილი აკაკი, ბიბილეიშვილი კონსტანტინე, ლეჟავა ნიკოლოზ, მაჭარაშვილი ვ რდენ, იშხნელი ისაკ, კოპაძე რაჟდენ, გრიგოლია რაფიელ, მსუბუქად არიან: მახარაძე პოლიევქტ, სარხაძე პარმენ, ასანიძე მოსე, აფხაზავა ნიკო, ჯუნოძე გიორგი, ხვთაძე ვარლამ, ჯალაღანია არჩილ, ახვლედიანი ნიკო, მეგრელიშვილი ოქროპირ, ესტუნელი გიორგი, ცუცქირიძე ალექსანდრე, ათხიშვილი შალვა, ვარნაძე აკაკი, დადუაძე ნიკოლოზ, ყუფრავა რომანოზ, კაპანაძე გრიგოლ, ტაბიძე იროდიონ, კაბანაძე ელიანე, კონწერიეშვილი ერასტი, კაპანაძე ილარიონ, მაჭავარიანი ივანე, გაგუა ალექსანდრე, გოგიტური ალექსანდრე, წერეთელი ივანე, კუპატაძე ალექსანდრე, ნიწაძე ივანე, კუფარიძე მალაქია, ღლონტი მაქსიმე, ჭყონია იონა, მძიმედ არიან: ოსპადოვ-ოვანესოვი, შუბიტაძე დიმიტრი, გაჩეჩილაძე ბენედიქტე, ცერეკიძე ვარლამ, გოგიბერიძე შალვა, გველესიანი გაბრიელ, ქუსიანი სერგო, კუპატაძე ალექსანდრე, ვიხროვი, სტეფანე, პოხოტკო მიხეილ, ჯობავა ბეგლარ, ვაშაკიძე ნესტორ, ჯაფარიძე შალვა, მაკაცარიაშვილი ვარლამ ნატარაშვილი ვასილ, გაფრინდაშვილი ივანე, სიმონიან გალაქტიონ, ნიკოლოიშვილი ტარასი, ყუფრაშვილი შალვა, კლადიაშვილი იოსებ, გოგიძე ივანე, კოპაძე დავით, ტოდობერიძე სამსონ.

დაჭრილნი იმყოფებიან ორ ლაზარეთში: 128 და 129 საველე ლაზარეთში, რომელთაც ევაკუაცია ვერ მოასწრეს და ბათომში დარჩნენ. დაჭრილთა შესახებ ოსმალთა ჯარის მთავარსარდალ ვეჰიბ-ფაშასთან წინასწარი მოლაპარაკება ჰქონდა ბ-ნ ვახტანგ ღამბაშიძეს და დაჭრილთა ევაკუაცია ბათომიდან სამშობლოში გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს მოკლე ხანში. ამ ჟამად ბ-ნ აკაკი ჩხენკელის დავალებით ვ ღამბაშიძე მხნედ შეუდგა დაჭრილთა და დატყვევებულთა მდგომარეობაზე ზრუნვას.

## ქართველები უკრაინაში

როგორც მკითხველებმა იციან, ბოლშევიკების ბატონობას ბოლო მოეღო უკრაინაში. უკრაინელებისა და გერმანელების შეერთებულმა ჯარმა ბოლშევიკები გარეკა უკრაინიდან. როდესაც ბოლშევიკური მთავრობა კიევიდან გაიპარა, უკრაინელების მთავრობა ჯერ კიდევ მისული არ იყო უკრაინის დედა ქალაქ კიევში. აი სწორედ ამ ხნის განმავლობაში უმთავრობოდ დარჩენილ კიევში დაიწყო ათასნაირი უწესოება. მაშინ ქალაქის თვითმმართველობას ქალაქის წესრიგის აღდგენა მიუნდვია ქართველების სამხედრო კომისარიატისათვის უკრაინაში. ქართველების კომისარიატს კომისარის ვაჩეიშვილის მეთაურობით მშვენიერად შეუსრულებია ეს დავალება. ქართული კომისარიატის დროშის ქვეშ მუშაობდნენ: ქართველებისა და სომხების მებრძოლი რაზმები, სოციალისტ რევოლიუციონერების რაზმი და ებრაელთა კავშირის რაზმი.

ქართველების კომისარიატმა თანდათან დაიჭირა ბოლშევიკების მიერ მინებებული დაწესებულებანი და ყველგან თავისი დარაჯები ჩააყენა. ყოველგვარი ცდა ძარცვა გლეჯისა და პოგრომებისა საშინელის სისასტიკით ისჯებოდა.

როდესაც უკრაინელების ჯარი მოვიდა, ქართველების კომისარიატმა ქალაქის დაცვის საქმე გადასცა უკრაინელებს.

მცხოვრებლებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. ხალხი ქუჩებში გამოიფინა და ყვავილებით მიეგება პეტლიურას უკრაინულ ჯარს.

## ლორდი სესილი ოდესასა, კავკასიასა და ციმბირზე.

ლორდმა სესილმა „რეიტერის" სააგენტოს წარმომადგენელთან ბაასის დროს ასეთი აზრი გამოსთქვა: „გერმანიამ ოდესა დაიპყრო და ერთდროულად მოითხოვა, რათა ოსმალეთს შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროები დაუბრუნდეს. გერმანიას სწადიან აანაზღაუროს ის ზარალი, მას რომ ბაღდადის რკინის გზის დაკარგვით მოუვიდა, აღმოსავლეთში ახალი შტოს გაყვანით კავკასიასა და ჩრდილო სპარსეთზე. სომხები, რომელთა ბედ-იღბალში ცხოველ მონაწილეობას იღებენ ინგლისი და ამერიკა, ეხლა, ბრესტის ხელშეკრულობის წყალობით, ოსმალეთს ერთგულობენ.

ამას წინეთ ჩვენ გავგზავნეთ პატარა სამხედრო რაზმი, რომელიც ბაქოში უნდა გასულიყო კავკასიის გზით, მაგრამ ამას წინააღუდგნენ ბოლშევიკები, რომელთაც იდუმალად აქეზებდნენ გერმანიის და ოსმალეთის აგენტები. სამი კვირის განმავლობაში იქ მყოფი რაზმი საშუალებას მოკლებული იყო რაიმე კავშირი ჰქონოდა, ვინაიდან ტელეგრაფის მუშაობა შეწყვეტილი იყო.

რუქას რომ შეჰხედოთ, დარწმუნდებით, რამდენად დიდია გერმანიის დამპყრობელობითი სურვილები. მისი გეგმა საფრანგეთის განადგურებისა დაიშალა, მაგრამ უკვე ისახება აღმოსავლეთში დანარჩენი დაპყრობანი. სხვა და სხვა ლაპარაკი, თითქოს გერმანიაში დემოკრატიული მოძრაობა იყოს, სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან გერმანიაში მილიტარიზმი ჯერ კიდევ არ არის შერყეული. არის საბუთიც ვიფიქროთ, რომ გერმანია არც ციმბირში შეჭრას მოერიდება. ჩვენ ცნობა მივიღეთ, რომ გერმანიის გენერალი ციმბირში გაიგზავნა, რათა გერმანიის სამხედრო ტყვეებისგან შეადგინოს რაზმები, რომელთა მიზანი იქნება ციმბირის დაპყრობა. შეუნდობელი და ბოროტი დაუდევრობა იქნებოდა ჩვენის მხრივ, რომ გერმანიის ასეთ მისწრაფებათა წინააღმდეგ ზომები არ მიგვეღო. მე ვფიქრობ, ჩვენ სწორედ ვიქცევით, როცა ჩვენ მოკავშირე იაპონიას მოუწოდებთ დახმარებისთვის იმ საქმეში, რომელშიაც ის შესძლებს მართლაც დიდი სამსახურის გაწევას".

## რუსული ენა

მოგეხსენებათ, რომ 9 აპრილის დეკლარაციის შემდეგ ამიერკავკასიის საზღვრებში და კერძოდ საქართველოში **რუსული ენა** განსაკუთრებულ მდგომარეობაში სდგება და, დღემდე სავალდებულო, დღეის შემდეგ ან სრულიად უნდა მოისპოს სასწავლებლებში ანდა ისწავლებოდეს იგი, როგორც კერძო და არა სავალდებულო საგანი. ყოველ შემთხვევაში რუსულ ენის მდგომარეობა 9 აპრილის შემდეგ არსებითად შეიცვალა და ამ გარემოებას, ჩვენ იმედი გვაქვს, ქართულ გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოც ანგარიშს გაუწევს.

სამწუხაროდ, ჩვენამდე ცნობამ მოაღწია, თითქოს საბჭო იმ ახალგაზრდა ქართველებს, რომელთაც რუსული არ უსწავლიათ და სურთ გიმნაზიაში მოწაფედ შესვლა, ქართ. გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო **მიღებაზე უარს ეუბნება იმ მოსაზრებით, რომ რუსული ენა არ იციათ**

ბ—ი.

## რეგულიარულ ჯარის და ქართველი ერის თვისებები*)

### VIII.

### ჯარის ნაწილი.

როგორც წინად ვსთქვით ჯარის ნაწილი არის ბრბო, ხელოვნურად გადამქნილი ორგანიზაციით და კავშირის საშუალებებით. ფრანგები იდეალურ ჯარის ნაწილად სთვლიან ისეთს, რომელიც წარმოადგენს შემკობილ არსებას, სადაც თავის ტვინს და გონებას წარმოადგენს უფროსი; ხერხემლის ტვინსა და ნერვებს-კადრი; ჯარისკაცები კი მუსკულებს, რომლებიც უსიტყვოდ ასრულებენ ბრძანებებს და რეფლექსებს ხერხემლის ტვინისას. მხოლოდ ჯარის ნაწილში აღზრდა და სწავლა ჰქმნის ჯარისკაცს ძლიერად და გამგონედ, იქ იძენენ ჯარისკაცები სასარგებლო ჩვეულებებს. კადრები სწავლობენ დიდი ხნის განმავლობაში უფროსებისაგან. თავის მოვალეობას და არა რთულ მდგომარეობაში შეუძლიან იმოქმედონ დამოუკიდებლად. უფროსი, რომელიც დარწმუნებულია მით სწავლაში და ჩვეულებებში, საქმის დროს ტვინს როდი აბამს მხოლოდ წვრილმანს, არამედ მისი ყურადღება და აზრი თავისუფალია სხვა უფრო დიდ მნიშვნელოვან და საბედისწერო მოქმედებისათვის და გადაწყვეტილებებისათვის; საქმის გამარჯვებისათვის ეს სასარგებლო მოვლენაა.

სამხედრო ნაწილს უფრო მეტი უნარი აქვს ლოღიკურ მსჯელობისა და დასკვნისა, ვიდრე ბრბოს. ეს აიხსნება იმით, რომ ის უფრო ერთნაირია და საერთო ნიადაგი უფრო მაგარი აქვს. აქ უფროსი ახლო და ზედმიწევნით იცნობს თავის ნაწილს. უფროსს ყოველთვის საქმე აქვს შემდეგ უმცროს-უფროსთან, მას აძლევს ბრძანება განკარგულებას, ეს უკანასკნელი კი თავის მხრით შემდეგს და აგრე უკანასკნელ ჯარისკაცამდის. ამ მოვლენაში გარდა უკეთ მოხმარების სარგებლობისა კიდევ არის ის ფსიხოლოგიური თვალსაჩინო სარგებლობა, რომ ყოველ ჯგუფს აქვს საშუალება მოისმინოს მის მსოფლმხედველობის, განვითარების—მიხედვით შესაფერისი ლოღიკური მსჯელობა შესაფერის უახლოესი უფროსისა. „ბრბო ქალიაო, ჯარის ნაწილი კი უფრო უახლოვდება მამაკაცს გონიერ ნების მქონე არსებასო", ამბობს პრ. მოდეი.

ბრბოს წესი ე. ი. „სტროი", რუსულად რომ იტყვიან, არ აქვს. წესი სიძლიერეა ჯარის ნაწილისა. აქ უფროსის ერთ ნებას ყოველი ჯარისკაცი ხელში ყავს და მის თვალწინაა, ჯარისკაცს კი თავის ამხანაგებს შორის უჭირავს განსაზღვრული ადგილი, შეგნებული აქვს, რომ უნდა იყოს იქ და არავითარ შემთხვევაში არ აქვს უფლება ადგილის დატოვების. ის ფიზიკურად გრძნობს სიძლიერეს იმ კომპაქტიურ მასისას, ჯარის ნაწილისას, რომლის ნაწილს და სრულ კუთვნილებას შეადგენს. ეს მატერიალური წესი დარჩება მანამდის, სანამ ხალხისათვის საჭირო იქნება ჯარი; დარჩება, რადგან ის არის ერთად-ერთი უკეთესი საშუალება სწავლის მოგვარებისა, გაწრთვნისა და დისციპლინარული საშუალება ბრძოლის დროს წესის აღსადგენად. ჯარის ნაწილში შიშის შემკვიდრებელი ძალა განვითარებულია და მიუყვანილია უმაღლეს წერტილამდის, თავმოყვარეობა და ამხანა-

---

*) იხ. „სახალხო საქმე" 229.

გეზში, ნაცნობ უფროსების წინაშე, რომლებსაც უნდა ჰქონდეს უფლება დაჯილდოვებისა და დასჯისა, დისციპლინა, ჩვეულება გაგონებისა, უფროსების მაგალითი, რომლებიც წინ მიდიან და მორიდება ან შიში, რწმენა და იმედი ამხანაგებისა, რწმენა, რომ მისი ნაწილი გონებით არის ხელმძღვანელი, ყველა ეს ძლიერ დიდხანს ებრძვის და ეწინააღმდეგება შიშის გამეფებას.

ამაშია ჯარის ნაწილის სიძლიერე და მით იგი განსხვავდება ბრბოებისაგან. არავის უნდა უკვირდეს, რომ ის ყოველთვის სჯობს ბრბოს; არ ყოფილა ისტორიაში შემთხვევა, რომ ბრბოს დაემარცხებინოს ოთხჯერ ან მეტჯერ ნაკლები ჯარი. ბრბოს შეუძლია ბრბოსთან ბრძოლა, მათი შანსები ერთნაირია. ის ჯარი, რომელიც უფრო უახლოვდება იდეალურ ჯარს, ყოველთვის გამარჯვებული იქნება იმ ჯარზე, რომელიც ბრბოს მთლად არ დაშორებია.

### IX.

### დისციპლინა.

ჯარი მხოლოდ მაშინ ჯარობს, როდესაც ის არ წარმოადგენს ბრბოს და მით უფრო ძლიერია და იდეალური, რაც უფრო დიდხანს რჩება ის სამხედრო ნაწილად განსაცდელის ჟამს. ის ჯარია უძლეველი, სადაც მეფობს ერთი ნება და სადაც ეს ნება სრულდება შეგნებულად, უყოყმანოდ. უნდა არსებობდეს ძალდატანება, რომლის ხსენებაც ახლა არ არის მიღებული, მაგრამ საერთო საქმისათვის ეს საუბედუროდ აუცილებელი საშუალებაა. შეუძლებელია, რომ ყველა ჯარისკაცი ასრულებს თავის მოვალეობას შეგნებით, იმ ძნელ არა სასიამოვნო მოვალეობას, რომელიც იწვევს ტანჯვა-წვალებას, ბევრ დაკლებას და ხშირად ცხოვრების გამოსალმებას, აი აქ ხოლმე ხშირი პიროვნება „მე" ამოტივტივდება მისი ინსტიქტებით და ის თავის დროზე უნდა დაითრგუნოს სამშობლოს და რევოლიუციის დიადი სახელის სანაცვლოდ. რასაკვირველია, ძლიერ სასურველია და ლამაზია ის, რომ მარტო შეგნებაზე იყოს დამყარებული დისციპლინა, მაგრამ ეხლა ეს ჩვენთვის შეუძლებელია და მისთვის მიუღებელი. არც ერთს ხალხს, არც ერთს ეპოქაში არ ჰყოლია, მხოლოდ შეგნებაზე დამყარებული ჯარი. თვით ძლევამოსილის სახელოვანის საფრანგეთის რევოლიუციონური ჯარის, რომელიც გაუმკლავდა მთელს ევროპას, მხოლოდ ერთი მესამედი იყო შეგნებული, ფიქრობდა ხალხის განთავისუფლებაზე, ძმობა, ერთობის და თავისუფლების გამეფებაზე. ეს მესამედი ახდენდა დანარჩენებზე ზნეობრივ გავლენას და როდესაც ეს უკანასკნელი არ სჭრიდა ხოლმე, სჯიდნენ დამნაშავეთ სასტიკად; ჩვენ ვიცით ისტორიიდან თუ რა მკაცრი დასჯა სუფევდა ამ რევოლიუციონურ ფრანგთა ჯარში. ჩვენი მდგომარეობა ფრანგებზე უფრო ბევრად ცუდია. მიუხედავად დიად და წმინდა იდეალებისა, რომლებსაც ემსახურება ჩვენი ჯარი, ვიმეორებ, მაინც ჩვენი ჯარი მაშინდელ ფრანგების ჯარზე ცუდ მდგომარეობაშია იმ მხრით, რომ ჩვენში არა მესამედი, არამედ რამდენიმე პროცენტი ძლივს მოიძებნება შეგნებულთა. შეგნება უცბად არ შედის ხალხში და მით უფრო ჯარში და თუ ამას უცადა რევოლიუციამ და სამშობლომ, შეიძლება ყველაფერს კარგს, დიდხანს ნანატრს წამს და მდგომარეობას სამუდამოდ გამოვესალმოთ.

კაპ. ქუთათელაძე.

(დასასრული იქნება).

## ტფ. ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კრება

12 მაისს ქართული კლუბის დარბაზში შესდგა ტფილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ერ. საბჭოს თავმჯდომარე ნ. ე. წვერავა.

დღის წესრიგში იყო საკითხი ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ ფულის შეგროვება. მოხსენებით აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ალ. ლორთქიფანიძე. ოთხი თვეა, ამბობს იგი, — რაც ჩვენ დავალებული გვქონდა ეროვნულ საბჭოსაგან შეგვეგროვებინა ქართველ ვაჭარ-მრეწველთა შორის ფული ეროვნულ ფონდის გასაძლიერებლად. ჩვენ ვაპირებდით გაგვეწერეთ ნახევარი მილიონი, მაგრამ დღემდის მხოლოდ შემოტანილია 150 ათასი მანეთი, ხოლო ამ ბოლო ხანებში ფულის შემოტანა სრულიად შესწყდა. ზოგი პირდაპირ უარს ამბობს გადახდაზე. იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც საბჭოს უწყებათა დამტარებლებს ზოგი შეუგნებელი ვაჭარი ლანძღვა-გინებით ისტუმრებდა და ერთგან კიდეც სცემეს მას.

კრების ზოგიერთი წევრი მოითხოვს დასახელებულ იქმნან აქვე ასეთი პირნი, რათა მათ თავიანთი უგვანო საქციელისათვის შესაფერი პასუხი მოეთხოვოთ.

შემდეგ მომენტის შესახებ მოხსენებლად გამოდის საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი, სეიმის წევრი გ. გვაზავა. ის აღნიშნავს იმ მდგომარეობას, რომელშიაც დღეს საქართველო იმყოფება და მოუწოდებს ვაჭრებს ნუ იჩენენ გულცივობას, დაეხმარონ ქონებრივად ეროვნულ საბჭოს, რადგან ბევრი საქმე აქვს მას გასაკეთებელი და ამისთვის კი თანხაა საჭირო.

შემდეგ ამისა გაიმართა კამათი. თითქმის ყველა ორატორი მოითხოვს, რომ მიღებულ იქნას სასტიკი ზომები იმათ წინააღმდეგ, რომლებსაც ვერ შეუგნიათ შექმნილ მდგომარეობის სიდიადე და არ სურთ დაეხმარონ სამშობლოს.

ნ. წვერავა ამბობს: — ჩვენმა მეზობლებმა დიდი თანხა შეაგროვეს თავიანთ ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ, მათ თავის თანამემამულე ვაჭრების წინააღმდეგ, რომელთაც არ სურდათ ფულის გადახდა, სასტიკი ზომები მიიღეს. ჩვენ კი ამგვარი ზომების მიღებას ჯერჯერობით ვერიდებით.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე: დ. კალანდაძემ, ალ. ლორთქიფანიძემ, ს. გოგობერიამ და სხვა.

კრებამ შემდეგი დადგენილება მიიღო: გამოცხადდეს გაზეთებში იმათი სახელი და გვარი, ვისაც ფული არ გადაუხდია, დაენიშნოს მათ ვადად შემოტანისა ერთი კვირა და თუ ამანაც ვერ იმოქმედა, მაშინ მიმართონ იძულებით ზომებს. კრებაზე ასარჩევი იყო ვაჭარ მრეწველთა კავშირის გამგეობა, ამ კავშირის წესდება უკვე დამტკიცებულია, მაგრამ ეს სიგვიანის გამო ვერ მოხერხდა.

შემდეგი კრება დანიშნულია კვირას, 19 მაისს.

ი. ბოკერია.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**„კარლოსის" გაქცევა რუმინიაში.** ისტორია კრეისერ „კარლოსის" რუმინიაში გაქცევისა ასეთია. რუმინელი მატროსები, რომელნიც ამ გემზე მეზღვაურებად მსახურებდნენ, დიდხანს ამზადებდნენ რუმინიაში გაქცევას. როდესაც ბათომში მდგომარეობა გართულდა და სევასტოპოლს დახმარება სთხოვეს, უკანასკნელმა უპასუხა — დაგეხმარებით, თუ კავკასიის ფლოტის უფროსს ჰავჯავაძეს თანამდებობიდან გადააყენებთო. პირობად დაიდო, რომ შავი ზღვის ფლოტის ზღვაში გამოჩენის უმალ „კარლოსი" გავიდოდა ბათომიდან მის საწინააღმდეგოდ, ნამდვილად კი მას გაჰყვებოდა და შემდეგ რუმინიაში გაემგზავრებოდა. ნამდვილადაც ასე მოხდა. სევასტოპოლის პირობები კი ნამდვილი მისტიფიკაცია აღმოჩნდა, რამაც „კარლოსს" გაქცევა გაუადვილა.

**ინგლისის შიში.** ინგლისის გაზეთები შიშის ზარს სცემენ გერმანელების შავ ზღვაზე ოპერაციების გამო. დიდი ბრიტანეთის სამხედრო ავტორიტეტების აზრით ამ ოპერაციებს ორნაირი მიზანი აქვთ: ერთი მხრივ დაპყრობა სტრატეგიულ და ეკონომიურ ცენტრებისა შავი ზღვის სანაპიროებზე და მეორე მხრივ შექმნა მტკიცე ბაზისა ჯარის გადასაყვანად კავკასიასა და სპარსეთში. გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ ამ რიგად ძლიერდება ოსმალეთის პოზიციაც და შესაძლებელიც ხდება გამომჟღავნება მისი პრეტენზიებისა ყირიმსა და კავკასიაზეო.

—

„მანჩესტერ გარდენ", ეხება რა შავ ზღვის სამხედრო ოპერაციებს, ხედავს ამაში ძალიან სერიოზულ საფრთხეს აღმოსავლეთში ინგლისის პოლიტიკისათვის. ინგლისმა ბაღდადთან და სპარსეთში უნდა შექმნას გარდაუვალი და უძლეველი ზღუდე გერმანიის წინ-მსვლელობისათვისო, ამტკიცებს გაზეთი.

—

„ტაიმსი" ამტკიცებს, რომ სევასტოპოლის აღება შეიქმნება იმ შენობის საძირკვლის უკანასკნელ ქვად, რომელიც გერმანიას ხელში მისცემს მთელს ყირიმს და კავკასიას.

## ქუთაისის ცხოვრება

აღდგომის დღესასწაულები ქუთაისმა სიმშვიდით გაატარა. აბა რა გვაქვს ჩვენ დღეს საზეიმო, სამხიარულო, სადღესასწაულო. დღეს ამიერკავკასიამ თავისი დამოუკიდებლობა საქმით უნდა დაიცვას, ფედერატიული დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპი მთლიანად განახორციელოს, მოიპოოს ნამდვილი ზავი, მშვიდობა და მყუდროება, მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენთვის ჭეშმარიტი აღდგომა ნამდვილი დღესასწაული.

—.—

ზოგიერთმა უდარდელმა მოქალაქემ, რომელსაც ალბად არც წარსული აფიქრებს და არც მომავალი აინტერესებს, თავისი არ დაიშალა და აღდგომას დილითვე მთელს ქალაქში გახშირდა უთავბოლო სროლა.

ქუთაისის ახლო წარსულით შეშინებული მოქალაქე საფიქრებელს მიეცა, მაგრამ მილიციის უფროსის შესაფერი ზომების წყალობით უწესოება იმ დღესვე აილაგმა.

ორმოცამდე კაცს ოქმი შეუდგინეს და ზოგიერთები დააპატიმრეს კიდეც. ამის შემდეგ წესიერება არ დარღვეულა.

—.—

8 მარტს ქუთაისს ესტუმრა კაკი წერეთელი და ცირკის შენობაში წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „თანამედროვე მომენტი და ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა". საზოგადოება და დიდძალი ხალხი მიაწყდა ცირკის შენობას.

ოპონენტებად გამოვიდნენ ამხ. შ. ნუცუბიძე, აგრეთვე ემუხვარი (ს. დ.) ვ. წერეთელი (ერ. დ.) და ორახელაშვილი (ბოლშევიკი).

გ-ნმა ემუხვარმა გამოსვლისთანავე პირველი წიხლი სოც. ფედერ. წაჰკრა. ამას მიჰყვა ვ. წერეთელი, რომელმაც ლექცია და საკითხი სასაცილო საგნად გახადა და ბევრი „იოხუნჯა" სოციალისტებზე, ხოლო რაც შეეხება ორახელაშვილს მან არ გვაკმარა მარტო სოც. ფედ. გინება და გამყრელიძეს ცირკის შენობა (ბოდიშს ვიხდი მკითხველთან) ფურთხით (ორახელაშვილის ფრაზაა) ლანძღვა-გინებით და მუქარით გაავსო.

აღსანიშნავია ირაკლი წერეთლის თავაზიანობა და ზრდილობა, რომელსაც სამწუხაროდ ასე მოკლებულია ჩვენი მოწინააღმდეგის ერთი ნაწილი. მაგალითად: მეორე დღეს ქუთათურ „სოციალ დემოკრატში" ვიღაც [illegible] აღნიშნავს რა მოკლედ 8 მაისის ლექციას ასეთი მარგალიტებით ამშვენებს ამ გაზეთის ფურცელს:.. ლექტორი ამტვრევს მოპირდაპირეს... მის წინ საცოდავად ფართხალებდნენ მოწინააღმდეგენიო... ამ გვარ უზრდელ კალმოსანს ჩვენ მოვუწოდებთ წესიერებისაკენ და ვურჩევთ ისწავლონ ზრდილობა თავისი უფროსი ამხანაგებისაგან.

ჯაფარ-ფაშა.

## მოწერილი ამბები.

**ქ. დუშეთი.** იმხნის განმავლობაში, სანამ ქ. დუშეთში იდგა ჩვენი რაზმი, შავ-ბნელი ძალები ანგარიშს უწევდნენ მას და თავიანთ შავ განზრახვებს გულშივე იკლავდნენ, გარნა კბილებს ილესავდნენ და მოხერხებულ შემთხვევას ეძებდნენ.. გაიგეს თუ არა გაზეთებიდან ბათომს საფრთხე მოელისო, ჩვენი ამხანაგები (სულ მცირედის გამონაკლისით) როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგნენ და დაუყოვნებლივ გაეშურნენ იქით. დიდი დღესასწაულებრივი ზეიმით გაცილა [illegible] დუშეთის საზოგადოებამ, რომელთაც წინ მოუძღოდნენ წითელი დროშა. გულის ამაჩუყებელი სურათი იყო, როდესაც ყველამ მუხლი მოიდრიკა წმინდა დროშის ქვეშ და შეჰფიცეს ერთმანეთს, რომ არ ელალატნათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის, ერთგულად ემსახურებიან საქართველოს და ქართველ ხალხს. წავიდნენ და [illegible] დუშეთის [illegible]...

ახლა კი იმოძრავეს ღრო ნაძირალებმა და თავიანთი ბოროტი განზრახვის სისრულეში მოყვანა მოინდომეს. დაიწყეს ძველებურად ღამ-ღამობით თოფების სროლა, ქალების ტაცეობა, ქურდობა და ავაზაკობა, რომლის შემდეგაც [illegible] ხშირად [illegible] ნატრულობდნენ: ახ, სადა ხართ ჩვენო წესიერების განმტკიცებელნო შვილებო! თქვენ გარეშე მტრის ტყვიისათვის მიგიშვერიათ მგრძნობიარე გულები და თქვენ ოჯახში კი შინაური არამზადების თოფების სროლა ისმის.

მერე ვინ არიან ეს „შინაური მტრები" პოლიციის მოადგილე-მილიციად წოდებულნი, რომელთაც, გალეშილებმა კვირას 8 აპრილს მთელი დუშეთი ცეცხლის ალში გაახვიეს, და თავიანთი შემოსვლით აღა-მაჰმად ხანის დრო მოგვაგონეს. ვიცი, დუშეთის მილიციის უფროსი, რომლის მონაწილეობითაც შემოესია დუშეთს მთვრალი მილიციონერების რაზმი, თავის მთავრობას მოახსენებს „ყველაფერი წესრიგშიაო... მაგრამ ამას გააბათილებენ სიმონ ქიაბრიშვილის გაჩანაგებული სახლის კარ-ფანჯრები. მისი და აგრეთვე სხვისი აწიოკებული ცოლ-შვილნი.

„მეჯვრისხეველი".

—

**ალაზნის გაღმა** (სიღნაღის მაზრა). სოფელ ფიჩხი-ბოგირზე მოხდა 16 აპრილს დიდი კრება.

რაკი განიხილეს რამდენად მართალი იყო ჩრდილოეთიდან ლეკების მუქარა, კრებას დაესწრნენ ორმოცი სოფლის მეტის წარმომადგენლები: ლეკების, თათრების, ოსების და იმერლების.

ილაპარაკეს ყველა წარმომადგენლებმა დაძმობილებაზე და პროვოკაციის გაქარწყლებაზე. ყველა იმის ცდაში იყო როგორმე მაგარი კავშირი დაარსონ. აირჩიეს კომისია, ოთხი კაცისაგან შემდგარი: ლეკი, თათარი, ოსი და იმერელი. მეხუთე წევრი კი თვით უნდა მოიწვიონ.

დაავალეს პროვოკაციასთან ბრძოლა. ყოველი უთანხმოების გარჩევა-განსწორება.

დაადგინა კრებამ კომისიის საშუალებით გაიგზავნოს ოქმის პირი დაღესტანში, ტფილისს, თელავს და სიღნაღს.

ლეკმა შეიხ დონდოევმა სხვათა შორის გვიჩვენა არაბულ ენაზე დაწერილი დიდი წერილი. ბოლოზე ლეკურად ბეჭედიც და რუსული წარწერით „რაჟბუდინ გოცინკი". მან შინაარსი გადმოგვცა, რომ ლეკებში არჩეული პირი რაჟბუდინი გთხოვთ ყველას ვიყოთ „ძმურად და ტკბილად ცხოვრება და ყაჩაღობა მოვსპოთო".

ხალხი საერთოდ დაძმობილებას კარგად შეხვდა კომისიამ მუშაობა დაიწყო. იმედი კარგი ჩანს როგორც ხმა დადის. სხვათა შორის იმერლობიდან არჩეულია დიდად პატივსანი და გაგებული ვ. რეხვიაშვილი, რომელიც [illegible] თურმე ყველა ადგილობრივ ენებზე ლაპარაკობს. როგორც ახალი ჩამოსულის ცნობა მიმართულებისა გამოურკვეველია.

შესაძლებელია განებივრებულ „მობოლშევიკებმა" აქაც წამოყონ თავი.

შუბი.

### წერილი რედაქციის მიმართ

თელავის მე-8 პოლკის სატელეფონო რაზმი სასტიკ პროტესტს აცხადებს გაზ. „ერთობის" № 22 ფურცელზე მოთავსებულ ვანო ავაქოვის წერილის გამო, რომელშიაც უპირცხვილოდ ცილსა სწამებს, სახელს უტეხავს ჩვენ პოლკს და ამწვავებს დამოკიდებულებას ჩვენსა და გვარდიის შორის.

კომანდის მონდობილობით: ვანო ალაზნელი.

გამომცემელი
ხანიკო ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

ლორი
(Ветчина)
იყიდება ნიხრზე ნაკლებ ფასებში. ძველი სემინარიის შენობის ქვეშ ხურაშვილის თევზის დუქანში იარმუკასთან და კერვალიშვილთან ოლგის ქუჩაზე 40 ნომერში. 491

საცობი
(„პრობკა")
მინერალური წყლების, ლუდის, ღვინის, კვასის და წამლების (სააფთიაქო) სოლოლაკი, სერგიევის ქ. № 14, ეზოში, მარჯვნივ. 485

ექიმი
ი. ლ. შალამბერიძე
იღებს [illegible] და საშვილოსნოს ავადმყოფთ. საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
ი. ი. გერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 450

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
ბ. მ. მუხაძე
იღებს სალოსტაქრო ავადმყოფებს საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, [illegible] საზოგადოების შენობის პირდაპირ, [illegible] ტელეფ. 6—11 1030

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
[illegible] ავადმყოფებს, იღებს 4—6 ს., კვირის გარდა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
ნ. ა. ფოფხაძე
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამ. გრაფის ქუჩა № 8. სახლი მონასელიძისა. 459

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

ქ. კავკაზში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს [illegible] ავადმყოფთ, დილით 8—9 [illegible] საღ. 4—6 ს. მელიქ[illegible] 1002

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5 1/2—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კუჭნაწლავისა, გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ზინ-ზინდის" პირდაპირ. 1029

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით. მიხეილის პროსპექტის და [illegible]ნი" ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი [illegible]როჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 1[illegible]—87. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 [illegible]. ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოთ 5—8 [illegible]. ქალების და ბავშვების მიღება 4—6 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. [illegible]

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—1 ს. ქირურგიული და ვენერიული ([illegible] ავადმყ.)
ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. ავასაპოვი: 9 1/2—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11 1/2 ს.
მ. ვ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და [illegible] ავადმყ.
მ. შ. ბენიამოვიჩი 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთ:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. [illegible] ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ღარიბებისათვის უფასოდ, კონსულტაციები ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი ექიმი დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. 101

სტამბა
„სახალხო საქმე"
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96.